ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903–1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№48 (1486)

7–10 ოქტომბერი 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა




## „საქართველო არ არის მზად პრობლემის გადასაწყვეტად“

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ი.სარიშვილი-ჭანტურიამ თავისი პრეს-კონფერენცია იმ ცნობით დაიწყო, რომ 2 დღის წინ ხელმეორე რეგისტრაცია გაიარა ედპ-მ თავისი ბოლო ყრილობის, ანუ პარტიის ხელმძღვანელობაში იმ განხეთქილების შემდეგ, რომელსაც, მისი თქმით, არა პიროვნული, არამედ პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. მან ისაუბრა 2 ოქტომბრის პარლამენტის სხდომაზე ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატი“-ს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტზე „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ და დააფიქსირა თავისი პოზიცია – „დარწმუნებული ვარ, კანონპროექტი ჩავარდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პარლამენტი რუსეთის ჯარების გაყვანის წინააღმდეგია. კანონპროექტის გასვლის შემთხვევაში პრეზიდენტს უნდა აღესრულებინა იგი, ეს კი არ მოხდებოდა და ვეტო დაედებოდა. ესეც წამგებიანი იყო ჩვენთვის იმ შინაარსის დოკუმენტის გამო, რა შინაარსსაც კანონპროექტი ატარებდა. ორივე შემთხვევაში, მდგომარეობა რუსეთისათვის ხელსაყრელი იქნებოდა. მესამე შემთხვევაში – თუ სასწაული მოხდებოდა, კანონპროექტი გავიდოდა და პრეზიდენტიც ვეტოს არ დაადებდა, აუცილებლად მოხდებოდა საქართველოს კუთხეებს შორის დაპირისპირება. რუსეთის ჯარები კი მხოლოდ ვაზიანიდან გავიდოდნენ. ესეც მხოლოდ რუსეთისათვის იქნებოდა ხელსაყრელი“. ი.სარიშვილი-ჭანტურია თვლის, რომ საქართველო თავისი შინაური პრობლემებითა და საგარეო პოლიტიკით ჯერ მზად არ არის ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ მომავალი წლიდან განსაკუთრებით გაიზრდება დასავლეთის ინტერესები საქართველოს მიმართ და დროთა განმავლობაში საქართველოს მიეცემა საშუალება, ეტაპობრივად აამოქმედოს საკონსტიტუციო მუხლი – საქართველოში უცხო ქვეყნის ჯარების არსებობის შესახებ. „ნაადრევად ამის განხორციელებას კი ესკალაცია მოჰყვება, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს“. ი.სარიშვილი-ჭანტურიას აზრით, დაახლოებით 2 წელიწადში უნდა ამოიწუროს საქართველოში რუსეთის ჯარების არსებობის პრობლემა, თუმცაღა, მისივე თქმით, ვადების დათქმა ამგვარ საკითხებში არასერიოზულია, „ყველაფერი შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს“.

აფხაზეთში დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით პარტიის ლიდერმა აღნიშნა, რომ არჩევნების ჩატარება და მისი შედეგები დამოკიდებულია იმაზე – ცნობს თუ არა მას საერთაშორისო ორგანიზაციები. მისი თქმით, ყველა პირობაა შექმნილი იმისა, რომ არ სცნოს. საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს მაშინ აქვს ფასი, როცა ხედავენ რეალურ სახელმწიფოს თავისი ძლიერი საშინაო და საგარეო პოლიტიკით.

## „ნუ დაითვლით ფულს სხვის ჯიბეში“

ამიერკავკასიის რუსეთის ჯარების დაჯგუფებას „საქენერგო“-ს დავალიანება აქვს 700 ათასი ლარის ოდენობით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოს კორესპონდენტს „საქენერგო“-ში აცნობეს, რომ ამ თანხის ნაწილი აგვისტოს თვეშია დაფარული (თანხა არ დასახელებულა). გადახდილი თანხის დასაზუსტებლად სააგენტოს კორესპონდენტი დაუკავშირდა რუსეთის ჯარების დაჯგუფების საფინანსო განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ ვ.კორიტოვს, რომელმაც ურჩია მას, რომ ნუ დაითვლის ფულს სხვის ჯიბეში და უარი თქვა თანხის დასახელებაზე იმ მოტივით, რომ დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტს ზარალს არ მოუტანს.

## კონფლიქტის დარეგულირებაში შუამავალი უნდა შეიცვალოს

„თუ გავითვალისწინებთ დღეისათვის რუსეთში არსებულ სიტუაციას, ვფიქრობ, დასავლეთის ფაქტორის ამუშავება ძნელი არ იქნება“ – განაცხადა ბრიფინგზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თ.ნადარეიშვილმა. იგი იმედოვნებს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის ზონაში წარმატებით შეცვლიან ნატო-ს ცისფერჩაფხუტიანები. მისივე თქმით, აფხაზეთში დასაბრუნებლად საჭიროა საქართველოში ერთიანი აზრი შეიქმნას აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით და ეს მიზანი თითქმის მიღწეულია, რასაც საქართველოს პარლამენტის ბოლო დადგენილებები მოწმობს. „თუ რუსეთის სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონიდან გავლენ, ჩვენ გუმისთამდე არანაირი წინააღმდეგობა არ გვექნება“ – განაცხადა მან. მისივე თქმით, არც ცხინვალი და არც სოხუმი არცერთ ნაბიჯს არ გადადგამს რუსეთის სპეცსამსახურების კარნახის გარეშე. ამიტომ კონფლიქტის დარეგულირებაში შუამავალი უნდა შეიცვალოს.

იპრინდა

## «უსაქმურის» ჩანაწერები

მეორე გვერდი

## პრეზიდენტის ცოლი

მეექვსე გვერდი

## კურიოზები

7

## მე-11 კლასელებო, აბიტურიენტებო!

გაზეთ „საქართველოს“ მე-5 გვერდზე ვაგრძელებთ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ განხილვას, რომელიც დიდად წაგადგებათ ცოდნის შევსებისთვის, გამოცდების ეფექტური ჩაბარებისათვის...

ვფიქრობთ, ამ საპროგრამო რომანის ახლებურ გააზრების ცდას ფართო მკითხველიც მიადევნებს თვალს.



## ინტერპოლის გენერალური მდივანი კმაყოფილია საქართველოში ვიზიტით

5 ოქტომბერს კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია – ინტერპოლის გენერალური მდივანი რაიმონდ კენდელი შეხვდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს კ.თარგამაძეს, რის შემდეგაც პრეს-კონფერენცია გაიმართა.

პრეს-კონფერენციაზე კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია – ინტერპოლის გენ. მდივანმა რ.კენდელმა მოკლედ ისაუბრა ვიზიტის შესახებ. როგორც სტუმარმა განაცხადა, მისი შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან და შსს მინისტრთან ნაყოფიერი იყო. მან კმაყოფილება გამოთქვა იმ ყურადღებისათვის, რომელიც საქართველოს მთავრობამ გამოიჩინა საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ბიუროს ოფისის სათანადო ტექნიკით აღჭურვის საქმეში და აღნიშნა, რომ 176 ქვეყანაში გახსნილ ინტერპოლის ბიუროებს შორის საქართველოს ბიურო ტექნიკის თვალსაზრისით ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიკავებს, რომელიც მას ფართო საერთაშორისო კონტაქტების დამყარების საშუალებას მისცემს. რ.კენდელის აზრით, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა იდეალური საშუალებაა ნარკოტიკების, უკანონო იარაღის, გატაცებული მანქანების, ადამიანთა უკანონო გადაყვანის (პროსტიტუციისათვის), უკანონო ემიგრაციის გამოსაყენებლად. აქედან გამომდინარე, გარდა ეროვნული პრობლემებისა, საქართველოს პოლიცია და ინტერპოლი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრის წინაშე დგას. სტუმარმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს დაბადების დღის მილოცვისათვის.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რამდენ პირზეა შედგენილი საერთაშორისო წითელი ცირკულარი, საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსმა გ.ალექსიძემ განაცხადა, რომ იგი დაახლოებით 20 პიროვნებაზეა შედგენილი.

## ამოღებულია ავტომატები და ხელყუმბარა

შსს-ს პრეს-ცენტრის ცნობით, ანონიმური სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე დიდუბის რაიონის პირველი ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დილმის მეხუთე კვარტლის მიმდებარე ტყე-პარკიდან ამოიღეს „აკმ“-ისა და „აკს-“ის ტიპის ავტომატები, ხელყუმბარა „ფ“-1, ავტომატური იარაღის 7,62 კალიბრის ვაზნის ერთი დახურული ყუთი და 34 ცალი კარაბინის ვაზნა.

## მთავრობის გაფართოებული სხდომა

5 ოქტომბერს გაიმართა მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელიც საქართველოს სოციალური განვითარების საკითხებს მიეძღვნა. სხდომის მონაწილეებს უჩვენეს სახელმწიფო კანცელარიის დაკვეთით გადაღებული ფილმი „სოციალური სფეროს რეფორმა“. აღინიშნა, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მტკივნეულად, დიდი სოციალური დანაკარგებით მიმდინარეობს. მკვეთრად დაეცა წარმოების დონე, შემცირდა ბიუჯეტის შემოსავალი. შესაბამისად გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების დონე, რასაც უარესად ნეგატიური შედეგები მოჰყვა. კერძოდ, გამწვავდა მოსახლეობის დასაქმების პრობლემა, უმუშევართა რაოდენობა 1991-96 წლებში 180 ათასიდან დაახლოებით 800 ათასამდე გაიზარდა. კუპონისა და საკრედიტო ემისიამ სასაქონლო დეფიციტის პირობებში დასცა მოსახლეობის რეალური შემოსავლები. კერძოდ, ყველაზე კრიტიკულ პერიოდში (1993 წ. სექტემბერი – 1994 წ. სექტემბერი) შრომის ანაზღაურების ხვედრითი წილი საცხოვრებელ მინიმუმში 25,2%-დან 0,07%-მდე დაეცა.

## კონფერენცია აგრძელებს მუშაობას

კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში მიმდინარეობს საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „კავკასიისათვის რეგიონალური უსაფრთხოების კონცეფციის განვითარება“. 5 ოქტომბერს კონფერენციაზე განიხილეს საგარეო პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის ცენტრში შემუშავებული პროექტი „ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია ყოფილ სსრკ-ში – ზემოქმედება რეგიონალურ და გლობალურ უსაფრთხოებაზე“. მასში განხილულია უშიშროების მრავალრიცხოვანი განზომილებები სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ და ეკოლოგიურ სფეროებში. შესწავლის მთავარი ობიექტი იქნება რუსეთის ურთიერთობა უკრაინასთან, ბელორუსიასთან, ყაზახეთსა და საქართველოსთან.

იფრინდა

გამოხმაურება

# მთქმელს კარგი გამგონი უნდა

მთქმელს რომ კარგი გამგონე (თუნდაც მიმხვედრი) სჭირდება, ამაში თვალნათლივ დავრწმუნდი მურმან ზაქარაიას წერილის „კიდევ ერთხელ „პროვინციულ ფაშიზმზე“ და „იმპერიულ დემოკრატიაზე“ (გაზ. „აღდგომა“, 1996, №39) გაცნობისას.

სამწუხაროდ, მ.ზაქარაიამ ვერ გაიგო ჩემი წერილის „აგენტომანიის კვირაიასეული რაუნდის“ (გაზ. „საქართველო“, 1996, №41) შინაარსი. იგი საკმაოდ უხამსოდ მისაყვედურებს, თითქოს ვამბობდე, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის აგენტები არ არსებობენ. რა თქმა უნდა, არიან და ამაზე იქვე მივუნიშნებდი, „მითუმეტეს, როდესაც ამიერკავკასიის რუსეთის ჯარების შტაბში არსებობს დაზვერვის სამმართველო, რომლის არაერთი თანამშრომელი დაზვერვასა და აგენტურას აწარმოებს რესპუბლიკაში“. ეს აგენტთა არარსებობას ნიშნავს თუ უცხო ქვეყნის აგენტურასთან თანამშრომლობას, ამის გარკვევა მკითხველისთვის მიმინდვია, თორემ მ.ზაქარაია რომ ვერ გაიგებს, ამაში დარწმუნებული ვარ.

ჩემს წერილში კი მთავარი აზრი ის გახლდათ, რომ აგენტთა დაუსაბუთებელი ძებნისა და პრესაში რიტორიკული განცხადებების მაგივრად, უშიშროების სამსახური აგენტებს უხმაუროდ უნდა ავლენდეს და საჯაროდ ამის შესახებ დასაბუთებულადაც წარსდგეს.

მ.ზაქარაიამ კი ეს აზრი შეატრიალა და ისე გამოიყვანა, თითქოს საკუთარ მოქალაქეთა დევნას მაბრალებს და დემაგოგიურად წერს: „მას აწყობს უშიშროების სამსახურმა სხვა არაფერი აკეთოს“. ალბათ, ამაზე მეტი მკრეხელობა წარმოუდგენელია.

მ.ზაქარაიას უზნეობის სათავე კი იქიდან მომდინარეობს, რომ მე ზ.გამსახურდიას სახელი მისთვის მიუღებელ კონტექსტში მოვიხსენიე. ამიტომაც შხამისა და ბალღამის გადმონთხევა არ დააყოვნა. ამასთანავე, ზაქარაიას გულზე მოხვედრია შ.კვირაიას მეთოდების ბერიასეულ ფანდებთან შედარება. ალბათ, ორი მეგრელის ერთდროულად უარყოფითად მოხსენიება „ნამეტნავად“ მომივიდა და ოპონენტიც „გავანაწყენე“. მე სწორედ აგენტომანიის ტრადიციულობის არსი წარმოვაჩინე და არა მეგრული საწყისი.

მ.ზაქარაია თავის წერილთა სერიაში, თითქოს, [illegible] წინააღმდეგ ილაშქრებს, მაგრამ მე რატომღაც მიმეტებს და მისსავე მაგინებელ ხელისუფლებასთან მასმენს და პრეზიდენტს პირდაპირ უთითებს: „ალბათ, არც გუბაზ მეგრელიძის მეგრელოფობია გამორჩება მას მხედველობიდან“. ან კიდევ „ალაზნისპირელი კონსტიტუციური კანონმდებლობის დარღვევისთვის ციხეშიაო, – საინტერესოა, გ.მეგრელიძეს ეს გონივრული დასკვნა როგორ ჩაეთვლება“. აი, ის უზნეობისა და არაკაცობის მაგალითი, რასაც ავტორი სხვებს უკიჟინებს.

სამწუხაროდ, მ.ზაქარაიამ არ იცის, ვიზე წერს, თორემ ასევე არ დამაბრალებდა თანამდებობასა და კეთილდღეობაზე ფიქრს, რომელიც ნამდვილად არა მაქვს. ასევე, მინდა ვურჩიო გაგულისებულ ავტორს, რომ სანამ მოპაექრეს „ვინმედ“ მოიხსენიებდეს, თავად რაიმეს მაინც უნდა წარმოადგენდეს. მურმან ზაქარაიას სახელი კი დადებითი რაკურსით საზოგადოებისათვის არაფრის მთქმელია, თორემ დამსმენის სახელი მან დამსახურებულად მოიპოვა. აგრეთვე საკითხავია, ადრესატის მაგივრად მ.ზაქარაიამ პასუხის გაცემა რატომ „გადაწყვიტა“?

მ.ზაქარაიას ჯინაზე დღემდე დაუპატიმრებელი

გუბაზ მეგრელიძე

# «უსაქმურის» ჩანაწერები

ბრუნავს და ტრიალებს წუთისოფელი, ბრუნავს და წრიალებს ქალაქი, ქალაქი, ერთი დიდი დახლი, დახლი, სადაც იყიდება ყველაფერი: ცხელ-ცხელი ქადები და სული, ფენოვანი ხაჭაპურები და სინდისი, ნესვი და ნამუსი... ესღა დარჩა გასაყიდი, ქვეყანა უკვე გაიყიდა, გაიყიდა სულ იაფად, ლამაზი ავტოების და „ტკბილი ცხოვრების“ ფასად. რას იზამ, ვისაც რა შეუძლია, იმას ყიდის და გაუყიდავიც არაფერი რჩება.

### რა ღირს სინდისი?!

– რა ღირს ბიძია სინდისი?

ვეკითხები დახლთან მდგომ ხანშიშესულ მამაკაცს. იჭვნეულად მაკვირდება, უცნაურად იღიმის, მხრებს იჩეჩავს.

– მე არ გამიყიდია, ფასიც არ ვიცი. იმას ექნება გაყიდული და ფასიც ეცოდინება. – მპასუხობს და თითს ჩემს ზურგს უკან სადღაც სივრცეში იშვერს. მის ხელს თვალს ვაყოლებ და სიმპათიურ, ელეგანტურად ჩაცმულ მამაკაცს ვუმეორებ კითხვას:

– უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით რა ღირს სინდისი?

– რა?!

– რა ღირს სინდისი? – ვიმეორებ ჯიუტად.

ასეთ კითხვას ნამდვილად არ ელოდებოდა, თუმცა უმალვე მოეგო გონს (ეტყობა არაორდინალურ სიტუაციაში ბევრჯერ ყოფილა და გამოცდილება იგრძნობა)

– უსაქმური ხარ, ქალავ!

იღრინება უცნობი და ვხვდები, რომ თუ დროზე არ გავეცალე, ამ სიტყვებს არ მაკმარებს.

ცოტა გავიარე და ყვავილების გამყიდველს მივადექი, ახლა მას დავუსვი იგივე კითხვა:

– რა ღირს სინდისი?!

ვარდებს წყალი მოასხურა, თაიგული შეათვალ-შემოათვალიერა და კითხვითვე მიპასუხა :

– რა?!

– რა ღირს სინდისი? – ისევ ვიმეორებ.

– სინდისი, ჩემო კარგო, კარგა ხანია გაიყიდა, აღარავის აქვს და ნუ ეძებ ტყუილად, სადღაა სინდისი...

ბრძნული პასუხია. მართლაც რას ვეძებ, რაც უკვე გაყიდულა. ძებნას თავი დავანებე, ჩემს თანამოსაუბრეს გავხედე შორიდან. ირონიულად იღიმებოდა... მართლა უსაქმური ვარ, რას ვერჩი ამ პატიოსან ხალხს, განა არ ვიცი რა ღირს სინდისი? განა არ ვიცი, რატომ ყიდის ეს ქალი პურს? ვიცი, მაგრამ მაინც ვეკითხები.

– რატომ ყიდით პურს?

– მიჭირს, ესეც ნისიად მომაქვს. დღეში ერთი პური და გროშები მრჩება, მთელი დღე ასე მათხოვარივით ვდგევარ. – (ხმა უცახცახებს).

– რამეს დაგვეხმარებით? – მიბრუნებს კითხვას მეორე გამყიდველი... ვაი ჩემი ბრალი, რითი, როგორ, რანაირად უნდა დავეხმარო...

### იმედი

– მოდი, ბებია, ნახე რა მწვანილია!

მეპატიჟება მოხუცი, მწვანილის გამყიდველი ქალი.

– თქვენია ბებია მწვანილი? – ვეკითხები და დაუპატიჟებლად ვუჯდები გვერდით.

– კი ბებია, ჩემია, მაგრამ მე არ მომიყვანია, მაძლევენ გასაყიდად და ვყიდი.

– რატომ ყიდით, პენსია ხომ გაქვთ? – ვკითხე და შემრცხვა.

– რა პენსია ბებია, რვა ლარი? ის რვა ლარი რაზე მეყოფა, რას გასწვდება. შვილიშვილი მყავს სარჩენი, ცხრამეტი წლის ბიჭია, სწავლობს, თავის თავმოყვარეობა აქვს. დღეში ორ ლარამდე მრჩება. ერთ ლარს იმას ვაძლევ, პურს ვყიდულობ და ესაა სულ!

– შემწეობას, დახმარებას არავინ გიწევთ?

– არა, არაფერს. ჩვენ აფხაზეთიდან გამოვექეცით ომს და კაცისკვლას. აქ შიმშილით გვძვრება სული. ერთხელ მომცეს ტანსაცმელი, დახეული იყო სულ. ესაა და ეს.

– იმედი გაქვთ?

– სული ტკბილია ბებია, თორემ იმედი სიკვდილია ახლა. მპასუხობს და ცრემლით ევსება თვალები.

– ჩემს ბიჭს რა ვუყო, თორემ სიკვდილია ჩემი იმედი. ცრემლები რომ დაფაროს, დაბნეულად ასწორებს მწვანილის კონებს.

– შენ ვინ ხარ? ახლაღა გაახსენდა ეკითხა ჩემი ვინაობა.

– მე გაზეთის კორესპონდენტი ვარ.

– როგორ მენატრება გაზეთების წაკითხვა, შორიდან ვათვალიერებ ხოლმე, აბა საყიდელი ფული სად მაქვს. დაწერე ბებია, დაწერე, რომ უსაშველოდ გვიჭირს, დაწერე, რომ იმედი აღარ არის, დაწერე, იქნებ მოგვხედოს ვინმემ.

მთხოვს მოხუცი და მეც და იმასაც არ გვჯერა, რომ გაჩნდება ვინმე გამკითხავი.

– ცერეცო გაქვს? კითხულობს ვიღაც ღიპიანი, მოხუცი დაბნეული აწყდის შეკვრას.

– ეს კამაა, ქალო – უკმაყოფილოდ დუდღუნებს უცნობი და კონას აგდებს. ვხვდები, ხელს ვუშლი, აჩქარებით ვემშვიდობები და მივდივარ. ზურგს იმ მოხუცის ცრემლიანი თვალები მწვავენ, გაქცევა მინდა...

სავსეა ქვეყანა უძლური, უიმედო, უქონელი ხალხით. სამშობლო გაუყიდეს, ქუჩის და უძლური ხელების იმედად დატოვეს, დაამცირეს და წაგლიჯეს ყოველი. თავად კაბრიოლეტებში და ხალიჩებით მოგებულ კაბინეტებში ჩაკეტილნი ვერ გრძნობენ, არ ესმით „წვრილი ერის“ კვნესა და მუდარა, რომელსაც იმედიც აღარ აქვს.

### რა ვქნათ?!

გაჩაღებულია ვაჭრობა ჯიხურის წინ. „მალბორო“, „ვისკი“, „შოკოლადი“... ჯიხურის პატრონი აწრიალებული ეძებს ხურდას.

– თქვენ გამყიდველი ხართ თუ ჯიხურის მეპატრონე? – ვისარგებლე პაუზით.

– ვინ ხარ? – კითხვით კითხვაზე მპასუხობს.

– არავინ, ისე მაინტერესებს. – ვფარავ ჩემს პროფესიას.

– ჩემია, მე ვარ პატრონი.

– შემოსავალი გყოფნით? – ვცდილობ ვაჭრობაში დახელოვნებულივით გამოვიყურებოდე.

– რა შემოსავალი. იმდენია გასავალი, რომ თითქმის არაფერი რჩება. დაზღვევის ფული, შუქის ფული, ნაგვის ფული, პოლიციელს ათი ლარი. დათვალე და რა დამრჩება მიხვდები. საჭმელს ვჭამთ, ესაა სულ ჩემი შემოსავალი. სხვა შემოსავალი არაფერია ოჯახში.

– რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ხალხს ეშველოს? – არ ვეშვები.

– ფაბრიკა და ქარხნები რომ მუშაობდეს, ინჟინერი ინჟინრობდეს, მუშას სამუშაო ჰქონდეს; ამ დღეში არ ვიქნებით, ეს გვიშველის. მე მასწავლებელი ვარ და სად ვზივარ, ხომ მიყურებ. ყველამ თავისი საკეთებელი რომ აკეთოს, ამ დღეშიც არ ვიქნებით...

ქუჩის პირას მანქანა გაჩერდა.

– ერთი შამპანური, შოკოლადი, „მალბორო“.

ისევ ხელს ვუშლიდი, დაუმშვიდობებლად წამოვედი, ჩემთვის აღარ ეცალა, „კლიენტს“ ემსახურებოდა...

სანამდის ფაბრიკა-ქარხნები ამუშავდება, ხომ უნდა ხალხს სიცოცხლე? ამიტომაც ყიდის ყველა ვისაც რა შეუძლია. ზოგი მწვანილს, ზოგიც სინდისს...

ღამის თალხი ებურა თბილისს. ზრიალებდა, ფუსფუსებდა დღისაგან დაღლილი ქალაქი, ქალაქი, სადაც არ დარჩენილიყო არაფერი გაუყიდავი. სული, ხორცი, ღმერთი, ქვეყანა...

რატომ მოვედი აქ, რა მინდოდა... განა ჩემი ჩანაწერები აალელვებენ მათ, ვინც სინდისი, ღმერთი და სამშობლო გაყიდა, მათ, ვინც იმედი წაგლიჯა ხალხს. არა, ისინი ახლა მყუდრო რესტორნებში ატარებენ საღამოს, მათი იმედი ერს აღარ აქვს... რა მინდოდა, რატომ მოვედი აქ? მიტრიალებდა თავში ეს კითხვა და მე მივხვდი, რომ აღარც მე დამრჩენოდა იმედის ნატამალი.

ანა ჯულელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კათოლიკოს პატრიარქის ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში

რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის მიწვევით 5 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თანმხლებ პირებთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა. ვიზიტის მიზანია ორ ქვეყანას შორის არსებული კონტაქტებისა და თანამშრომლობის გაღრმავება იმ პრობლემების გადაწყვეტის საქმეში, რომლებიც ერთნაირად აწუხებთ საქართველოსა და რუსეთს და მის ეკლესიებს. ილია მეორე შეხვდება რუსეთის პატრიარქს ალექსი მეორეს, რუსეთის ეკლესიის სამღვდელოების წარმომადგენლებს. კრემლის მიძინების ტაძარში აღევლინება ერთობლივი წირვა-ლოცვა. დაგეგმილია შეხვედრები რუსეთის პრემიერ-მინისტრთან ვ. ჩერნომირდინთან, რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარესთან გ. სელეზნიოვთან, მთავრობის წარმომადგენლებთან. 8 ოქტომბერს ილია მეორე სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ქალაქის სასულიერო აკადემიის აღდგენის 50 წლისთავთან დაკავშირებით წირვა-ლოცვაში.

ვიზიტი 12 ოქტომბერს დასრულდება.

## დავით ზეიკიძე ითხოვს

4 ოქტომბერს პარლამენტის საღამოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა თბილისის პოლიციის ყოფილი შეფი, დეპუტატი დ.ზეიკიძე, რომელმაც განაცხადა, რომ ის პირები, რომლებიც მას პოლიციის უფროსის პოსტზე ყოფნის დროს დევნიდნენ, ამჟამადაც აგრძელებენ დევნას მისი ფიზიკური განადგურების მიზნით. დ.ზეიკიძემ თხოვნით მიმართა პარლამენტს – შეიქმნას კომისია არსებული მდგომარეობის გამოსაძიებლად.

## საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი კომიტეტის მეორე სხდომა

5 ოქტომბერს თბილისში გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი კომიტეტის მეორე სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ წარმომადგენლები ევროსაბჭოსა და ევროკომისიის თავმჯდომარე ქვეყნებიდან, ევროკავშირის წევრი 15 ქვეყნიდან და საქართველოს მთავრობიდან.

კომიტეტის სხდომის შემდეგ ევროკავშირის წარმომადგენელი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ხელს მოაწერენ შუალედურ შეთანხმებას, რომელიც აამოქმედებს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების სავაჭრო ნაწილს. ეს იქნება პირველი სრული სავაჭრო შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის. იგი ძალაში შევა 1997 წლის დასაწყისიდან. ზოგადი პრინციპების შესაბამისად შეთანხმება განამტკიცებს დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და საბაზრო ეკონომიკისათვის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპებისათვის აუცილებელ ელემენტებს. შეთანხმება აგრეთვე მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: სასაქონლო ვაჭრობა, ინტელექტუალური საკუთრება, ინსტიტუციონალური და ზოგადი პირობები და პროტოკოლი საბაჟო საკითხების შესახებ. შუალედური შეთანხმებით გათვალისწინებული ძირითადი სფეროს შემდგომი განვითარება შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რაც საქართველო გაწევრიანდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

იპრინდა

# ლორე-ტაშირი საქართველოს კიდევ ერთი მოუშუშებელი ჭრილობაა!

## წერილი პირველი

საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ათასწლეულების მანძილზე ყოველი მხრიდან თითქმის განუწყვეტლივ ეხვეოდა მტერი, სხვადასხვა ჯურის დამპყრობელი. ქართველი ერი თავდაუზოგავად ებრძოდა მომხდურს. როცა სხვა შესაძლებლობა აღარ ჰქონდა, პარტიზანულ ომებს უმართავდა მას. ასე გამოატარა საქართველომ საუკუნეთა წყვდიადში თუ ქარცეცხლში თავისი თვითმყოფადობა, შენარჩუნებულ იქნა სისხლით გაჟღენთილ ქართულ მიწაზე ჩვენი წინაპრების მრავალი თაობის მიერ შექმნილი კულტურა, მაგრამ არსებულ პირობებში ვერც ერთი ერი ვერ შეძლებდა დიდი მსხვერპლის, დანაკარგების გარეშე თავის გადარჩენას და საქართველომაც ბევრჯერ იწვნია ყოველივე ეს. უთვალავ მტერთან ჭიდილში არაერთხელ წაგვგლიჯეს ქართული მიწა-წყალი. მის დასაბრუნებლად ჩვენი წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდნენ, მიზანსაც აღწევდნენ, მაგრამ XVII საუკუნიდან მოყოლებული ამ მხრივ ქართველი ერის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, დაკარგული, მტრისაგან მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნება ველარ ხერხებოდა, იშვიათი გამონაკლისების გარდა. ამის დასტურად ძველი ქართული კულტურის უმძლავრესი კერის, ტაოკლარჯეთის საქართველოსგან მოგლეჯაც კმარა!

კიდევ უფრო უარესი საშინელებაა ის, რომ რის შენარჩუნებაც XX საუკუნემდე თავისი სისხლის ფასად შეძლო მრავალტანჯულმა ქართველმა ერმა, ცივილიზაციის არნახული დონის ეპოქაში ამის მიტაცებასაც ცდილობენ. ამჯერად დღევანდელი ვითარების თაობაზე არ ვაპირებთ საუბარს. გვინდა შევეხოთ ლორე-ტაშირის (მოიცავს ამჟამად სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში არსებულ ალავერდის, სტეფანავანის და სხვა რაიონებს) საკითხს. ლორე-ტაშირი საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკმა თავკაცებმა 1921 წელს მოჰგლიჯეს საქართველოს და გადასცეს სომხეთს, ისევე, როგორც საინგილო მოსწყვიტეს ქართულ წიაღს და უბოძეს აზერბაიჯანს. უნდა ითქვას, რომ ლორე-ტაშირის მიმართ ამ მხრივ ბოლშევიკურ რუსეთს გარკვეული საფუძველი მოუმზადა ინგლისის ხელისუფლებამაც. საქმე ისაა, რომ 1918 წ. დეკემბერში დაშნაკური სომხეთის მესვეურებმა ომის გამოუცხადებლად ჯარები შემოუსიეს საქართველოს. სანამ საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება (საუბედუროდ, სწორედ ისინი მოექცნენ ქვეყნის სათავეში!) თავდაცვის თადარიგს დაიჭერდა, სომხეთის ჯარმა შეძლო ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავება. როდესაც ქართველთა ჯარი შეტევაზე გადავიდა და სომხებს უკან დაახევინეს, ამ დროს საქმეში ჩაერივნენ ძირითადად ინგლისის, ასევე საფრანგეთის წარმომადგენლები და ყოველივე ამის შემდეგ უძველესი ქართული მიწა-წყალი, ლორე-ტაშირი სადავო ტერიტორიად, „ნეიტრალურ ზონად“ გამოცხადდა, რომელსაც 1920 წლამდე ფაქტობრივად ინგლისელები განაგებდნენ. ინგლისელების წასვლის შემდეგ დროებით კვლავ მოხერხდა ლორე-ტაშირის საქართველოს წიაღში დაბრუნება.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ 1921 წლისათვის ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილის, ლორე-ტაშირის მოსახლეობის უმრავლესობას სომხები და თათრები შეადგენდნენ. ქართველები იქ მცირე რაოდენობით სახლობდნენ. ცხოვრობდნენ ამ მხარეში მალაკნებიც. რაკი ეს ასეა, შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რის საფუძველზე ვაცხადებთ ლორე-ტაშირს ქართულ მიწა-წყლად? შესაძლოა, ამგვარ კითხვას თავის დროზე ინგლისის ხელისუფლებაც სვამდა. დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ვრცელ წიაღსვლას მოითხოვს, მაგრამ ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ლორე-ტაშირში 1921 წლისათვის დაახლოებით იმდენივე თათარი (ე.წ. აზერბაიჯანელი) ცხოვრობდა, რამდენიც სომეხი. მრავლად სახლობდნენ იქ მალაკნებიც. კარგადაა ცნობილი, თუ როდის და როგორ ვითარებაში ხდებოდა თათრების და მალაკნების დამკვიდრება ქართულ მიწა-წყალზე.

სომხების ჩამოსახლებაც საქართველოში ჩვეულებრივი ამბავი იყო, გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო. აკი საბჭოთა საქართველოს ე.წ. მთავრობები, ხელმძღვანელობა ტრაბახობდნენ კიდეც, რომ საქართველოში ლამის 100 ეროვნების ხალხი ცხოვრობდა. ყველა მათგანმა დამოუკიდებლობა რომ ისურვოს, ზოგიერთ რაიონში რამდენიმე „რესპუბლიკის“ შექმნა გახდება საჭირო.

ძველ სომხეთს სამი მხრიდან, როგორც წესი, სხვადასხვა იმპერიები ესაზღვრებოდნენ და ავიწროებდნენ. ამ დანაკარგების ანაზღაურებას სომხეთის მეფეები ჩრდილოეთის საზღვრების გაფართოებით, საქართველოსა და კავკასიის ალბანეთის (ალვანეთის) ხარჯზე ცდილობდნენ. ძველი ბერძენი გეოგრაფის, სტრაბონის ცნობით, სომეხთა მეფეებს ქართული მიწა-წყალი ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე II ს-ის დასაწყისში მიუტაციათ. მათ დაიპყრეს, კერძოდ, ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, ლორე-ტაშირიც. მაგრამ ჩვენი წინაპრები თავიანთ მიწას თმობდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მტერი მათ გვამებზე გადაივლიდა! გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავდა: „ქართველები მეომრული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ და მათი განდევნა მშობლიური ადგილებიდან შესაძლებელი იყო მხოლოდ მათზე ძლიერი მტრის ხანგრძლივი შეტევით; ქართველები, როგორც რიცხობრივად, ისე ფიზიკური ძალით, თუ არ აღემატებოდნენ, არ ჩამოუვარდებოდნენ მაინც სომხებს. ამიტომ სომხებს შეეძლოთ მხოლოდ დროდადრო მიეტაცათ მიწა-წყალი, დაესახლებინათ მათს ტერიტორიაზე თავისი მოახალშენეები, მაგრამ ძალა არ შესწევდათ, საბოლოოდ წაეგლიჯათ მათთვის მიწა-წყალი... სომხები ზოგჯერ მართლაც წააგლეჯდნენ საქართველოს ზოგიერთ კუთხეს, მაგრამ ატყდებოდა ბრძოლა და საქართველო კვლავ იბრუნებდა თავისას“. უნდა ითქვას, რომ დიდ იმპერიებს, რომლებიც ხშირად არბევდნენ, აოხრებდნენ საქართველოს, სხვა ფრონტებზეც ჰქონდათ გართულებები და ამიტომ ისინი ყოველთვის ვერ იცლიდნენ, ხანგრძლივი შეტევა ეწარმოებინათ საქართველოს წინააღმდეგ. ამდენად, XI ს-მდე, სანამ სომხური სამეფოები არსებობდნენ სომხეთში, სომეხთა ხელისუფალნი საკუთარი ძალებით თუ გარეშე მტრის მფარველობით იმპერიებზე არანაკლებად უტევდნენ საქართველოს. ამასთანავე, სომხური ეკლესიის საჭეთმპყრობელნიც ცდილობდნენ თავიანთი მრევლის გაზრდას საქართველოს ხარჯზე, კერძოდ, საზღვრისპირა ქართული მხარეების გასომხურებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლორე-ტაშირიც XII ს-ის დამდეგამდე ხელიდან ხელში გადადიოდა. ხან საქართველოს ეკუთვნოდა, ხან სომხეთს. ეს პროცესი, როგორც ითქვა, ქრისტეს შობამდე II ს-ში დაიწყო, მანამდე კი სომხებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ქართველებისათვის წაერთმიათ ლორე-ტაშირი. ამ მხარეში ქართული სული რომ ყოველთვის ტრიალებდა, ამის დასტურად შეიძლება დავასახელოთ V ს-ის ვითარებაც. როგორც ცნობილია, პირველი სახელგანთქმული ქართველი მწერალი, იაკობ ცურტაველი მოღვაწეობდა ქვემო ქართლის საპიტიახშოში (საერთოდაც, ქვემო ქართლი ქართული კულტურის ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენდა), რომლის ორგანულ ნაწილს ლორე-ტაშირიც შეადგენდა. IX ს-ის ბოლოს, ისარგებლეს რა საქართველოში მიმდინარე შინაომებით (რაც, ძირითადად, არაბთა ბატონობის შედეგი იყო), სომხეთის მეფეებმა შეძლეს კვლავ დაესაკუთრებინათ, მიეტაცათ ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, ლორე-ტაშირი. მაგრამ თუ IX ს-ის ბოლოს სომხეთი იყო ერთიანი და პოლიტიკურად საქართველოზე უფრო ძლიერი, X ს-ის II ნახევრიდან პირიქით ხდება – საქართველო ძლიერდება, სომხეთი კი სუსტდება. ასეთ ვითარებაში სომხეთისგან მითვისებულ ქვემო ქართლში ქართული გავლენა თანდათან ძლიერდება და მალე ეს მიწა-წყალი კვლავ საქართველოს შემადგენელი ნაწილი ხდება. ციხე-სიმაგრე ლორედან 1118 წ. დავით აღმაშენებელმა გარეკა თურქ-სელჩუკები (მათ ლორე სომეხ მეფეებს წაართვეს) და ამიერიდან ლორე-ტაშირი უაღრესად დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში 1801 წლამდე, სანამ საქართველოს ბედის გამგებელი რუსეთის იმპერია გახდებოდა. იმის გამო, რომ XI ს-დან სომხეთში აღარ არსებობდა სომხური სახელმწიფოებრიობა, სომხეთს სომხური მოსახლეობისგან დაცლის საფრთხე დაემუქრა (სრულიად სომეხთა კათოლიკოსებიც XI ს-ის შუა ხანებში სომხეთს მოაშორეს და მხოლო X ს-ის 40-იანი წლებიდან დამკვიდრდნენ ისინი ეჩმიაწინში). საქართველოს ხელისუფლებისათვის სავსებით მიუღებელი იყო სომხეთის დაცლა სომხური მოსახლეობისაგან, რადგან იქ ქრისტეანი სომხების ადგილს მაჰმადიანური მოსახლეობა იკავებდა და საქართველო ოთხივე, ყოველი მხრიდან მაჰმადიანურ გარემოცვაში ექცეოდა. ამიტომაც ქართველი ხელისუფალნი ყოველნაირად ცდილობდნენ სომხური მოსახლეობის დამაგრებას სომხეთში. რაკი სომხები მაინც სტოვებდნენ თავიანთ ქვეყანას, საქართველოს მეფეები ხშირად ასახლებდნენ მათ საზღვრისპირა მხარეებში, რათა აქედან ხელსაყრელ პირობებში ადვილად მოხერხებულიყო მათი სომხეთში დაბრუნება. ამასთანავე, სომხური მოსახლეობის არსებობა საქართველოში კანონიერ საფუძველს უქმნიდა ქართველ ხელისუფალთ, რათა შესაძლებლობის ჟამს ებრძოლათ სომხეთის განთავისუფლებისათვის.

XV ს-ის I ნახევარში ქართველებს, მეფე ალექსანდრე I- ის მეთაურობით, არაერთი ბრძოლა გადაუხდიათ, რათა გაეწმინდათ ლორე-ტაშირი მოძალებული მტრის ურდოებისაგან. სვეტიცხოვლისადმი ალექსანდრე მეფის წყალობის წიგნის თანახმად, ციხე-სიმაგრე ლორე ყოფილა „მიტაცებული აგარიანთაგან“, ე.ი. მაჰმადიანთაგან. მის გამოხსნაში ჯარის დამოძღვრით გულმხურვალე მონაწილეობა მიუღია ქართველთა კათოლიკოს თევდორესაც: გახსოვდეთო, რომ „ამა უსჯულოთა აგარის ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გიორგი მიუხლავს (ალასტანი სოფელია ჯავახეთში – ა.ა.) და მრავალნი ქრისტეანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუებიან, და ტახტი მეფეთა განურყვნია, და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან...“ უკან დასახევი გზა აღარ დაგვრჩენიაო და ამიტომ „აწ ბრძოლეთ ძლიერად და დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ, ქრისტესთუის წამებულთა გუერდს მიითუალვით; და დაღათუ ვინმე დაკოდითა ანუ დაშვებითა და რათაცა ტკივილით იტანჯებით, ყოველსავე ქრისტე მისად ნებისმყოფელად მიითუალავს“. აი ასე, ქართველები საუკუნეთა მანძილზე ჯვაროსნულ ომებს იხდიდნენ ლორე-ტაშირის დასაცავად. მათ თავი არ დაუზოგავთ ამ ქართული მხარის მტრისაგან განთავისუფლებისათვის, იქ მშვიდობიანი ცხოვრების პირობების შექმნისათვის, საალმშენებლო საქმიანობის გაჩაღებისათვის.

1437 წ. სომხური ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში ნათქვამია: „ჩვენი ძმობის წევრები (ბერები – ა.ა.) გავიქეცით და გავიფანტეთ ქართველთა ქვეყანაში... წარჩინებულებთან და ხალხთან ერთად. ამ მიზეზის გამო დავმკვიდრდით სანაინის ამ წმ. მონასტერში“. როგორც ვხედავთ, სომეხი ბერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლორეში მდებარე სანაინი ქართველთა ქვეყნის ნაწილია. ასევე, 1438 წ. სომხურ ანდერძ-მინაწერში ხუცესი ასტვაწატური გვამცნობს: „დავაწერინე ეს წიგნი უცხო ქვეყანაში, საქართველოში, ოჰანეს მღვდელს, ახპატის მონასტერში... არქიეპისკოპოს უფალ ზაქარიას წინამძღვრობისას, საქართველოში ალექსანდრეს მეფობისას, ამ მხარეში, ლორეს ოლქში... ბეშქენის გამგებლობის ჟამს“. აშკარაა, რომ სომეხ ხუცესს ლორე საქართველოს ნაწილად და ამდენად, სომხეთისთვის უცხო მხარედ მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ იგივე XV ს-ში ლორესთვის თავი შეუფარებია ეჩმიაწინიდან დევნილ სომეხთა კათოლიკოსსაც. რაკი თვით სომხები მიიჩნევდნენ ლორე-ტაშირს საქართველოს განუყოფელ ნაწილად, ცხადია, ქართველთა შორის მით უფრო მტკიცე იქნებოდა ამგვარი რწმენა, თვალსაზრისი. ომან ხერხეულიძის ცნობით, ერეკლე II-მ „ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსა და ვერცხლისა“. ამგვარი მადნები გამოვლენილ იქნაო ახტალაში. ნაგულისხმევია ლორე-ტაშირში მდებარე ახტალა. არ არსებობს ისეთი შემთხვევა, რომ ქართველ მემატიანეებს ერეკლე II-ის მამულად არაქართული მხარე დაესახელებინოთ. ისინი ლორე-ტაშირსაც სამართლიანად აღიქვამდნენ ძირეულ ქართულ მიწა-წყლად.

მიუხედავად იმისა, რომ ლორე-ტაშირში ქართველმა მეფეებმა ჩამოასახლეს სომხები და ქართველების უნებურად იქ მრავლად გაჩნდა თათრული მოსახლეობაც, ქართველები ამ მხარეში XX საუკუნემდე გარკვეული რაოდენობით მაინც მკვიდრობდნენ. ამასთანავე, ლორე-ტაშირის მამულები ეკუთვნოდა ქართულ სამეფო კარს, ქართულ ეკლესიას და ქართველ მემამულეებს, რომლებიც ამ მხარის სრული ბატონ-პატრონნი იყვნენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია პაპუნა ორბელიანის ცნობა: XVIII ს-ის შუა ხანებში ორბელიშვილებმა ტაშირის მოსახლეობა დაცვის მიზნით აჰყარეს და დმანისში შემოიყვანეს. მაშინ „მოვიდნენ ქეთხუდები ლორისა დმანისს და შემოეხვეწნენ ამათ: „ჩვენ მუდამ ორბელიშვილთ ოჯახის შემწეობით ვდგომილვართო და ახლა ასე უპატრონოდ ვართო და მოგვიარეთო“. „წავიდა მაშინვე ყაფლან ჯარით და შევიდა ციხესა ლორისასა და დამშვიდნა ქვეყანა ლორისა. შეაყენა კაცნი თვისნი ციხესა და თითონ მოვიდა დმანისს“. 1769 წ. შედგენილ „საქართველოს მეზობელი ქვეყნების აღწერაში“ ნათქვამია, რომ ქრისტეანი ქართველები მცირე რაოდენობით ყარსის ოლქშიც კი სახლობდნენ და მით უმეტეს, იქნებოდნენ ისინი ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენელ ნაწილში, ლორე-ტაშირში, უძველეს ქართულ მიწა-წყალზე. XIX ს-ში, როცა რუსეთის იმპერია სომხების გამოყენებასაც ცდილობდა საქართველოს გადასაჯიშებლად, სომხები ლორე-ტაშირშიც მომრავლდნენ და სომხურმა ეკლესიამ იქაური ქართველების გასომხებაც მოახერხა.

ალექსანდრე აბდალაძე

გაგრძელება იქნება.

# გაპრიალებული ნაჯახი სახელმწიფო ტყეში

ამ ორი წლის წინათ მშობლიურ სოფელში, ხილაურში, წასასვლელად ოზურგეთში ძლივს ჩავაღწიე. ეს ის დროა, სოფლად ავტობუსების მოძრაობა შეწყვეტილი იყო, როცა ადრე დღეში ვეიდ-რვაჯერ დადიოდა. იმ დღეს, ბედად, ჩემი სოფლელი მეზობელი შემხვდა და თავისი ჟიგულით შინ მიმავალმა თან გამიყოლია. გავცდით სოფელ ოზურგეთს, ბაილეთი დაიწყო, სივრცეს გავყურებ და უცებ დავიბენი: წინ და მარცხნივ უცნობ გარემოს ვხედავ. მარჯვნივ მივიხედე და ვერაფერი მითხრა - უსახო ფერდობია. ვერა და ვერ მოვისაზრე, სად ვარ. ვატყობ, თავბრუსხვევა მეწყება. მძღოლს მანქანა გავაჩერებინე და ჩემი გასაჭირი ვუთხარი. მან მაშინვე გამიგო და ნაღვლიანად ამიხსნა. თუმცა, გარეთ რომ გამოვედი და კარგად მივიხედ-მოვიხედე, რაღა ახსნა მჭირდებოდა: მარცხნივ, გზის გაყოლებაზე გადაჭიმული ვეებერთელა ტყე პირწმინდად გაეკაფათ და ახლა უკვე გაღმა სოფელი, გურიანთა, მოჩანდა. თითქმის ნახევარი საუკუნეა, წელიწადში რამდენჯერმე ამ გზაზე დავდივარ და არასდროს აქედან ეს სოფელი არ დამინახავს.

ქვეყნის გულშემატკივარმა ადამიანმა შეუძლებელია ამ სურათს გულგრილად უყუროს. ამგვარი სურათები კი ყოველ ფეხის ნაბიჯზეა.

აგერ ხუთი-ექვსი წელია, შეშად და სავაჭრო მასალად უმოწყალოდ იჩეხებოდა და იჩეხება ჩვენი სიცოცხლისათვის ეგზომ აუცილებელი გარემოს შემქმნელი ტყეები. უსახსროდ და უსაწვავოდ დარჩენილი ხალხი, დიდი და პატარა, ვისაც ნაჯახისა და ხერხის ხმარება შეუძლია, ბარბაროსული აღტყინებით შესევია თავიანთ მასულდგმულებელ, ამ უსიტყვოდ მეტყველ მეგობრებს და უხულგულოდ, დაუზოგავად ანადგურებს მას. ვისლა აქვს ის თბილი, სათუთი განცდა, პოეტ ზაურ ბოლქვაძეს რომ დაუფლებია და ლექსად გამოუხატავს:

„გრამატიკულად უსულო
ბალახო და ხეო,
ქვეყნად თქვენზე სულიერი
მე ჯერ ვერ ვნახეო".

არადა, როგორ აშენებდნენ, უვლიდნენ და ელოლიავებოდნენ ჩვენი მამები და პაპები ამ ტყეებს! დიახ, - ისეთივე გატაცებითა და თავდადებით, როგორც ვაზს, ჩაის, ციტრუსებს, ტუნგოს... უგეგმოდ და უნებართვოდ ერთ ხესაც ვერვინ შეეხებოდა!

გავყურებ ჩემს სოფელში ხუთიოდე წლის წინათ შესანიშნავი ტყით დამშვენებულ, ახლა კი თავგადაპარსულ ბოგნარისა და ნაციხურის გორაკებს, მოტიტვლებულ შუაღელასა და ძეგორას ფერდობებს, ქარის საფარისა და ნიაღვარდამცველი ცოცხალი ჯებირების გარეშე დარჩენილ ციტრუსებს, ჩაის პლანტაციებსა და სიმინდის ყანებს, მდინარე სუფსისა და პატარა-პატარა ღელეთა ნაპირებს, წვიმების დროს რომ გადარევა იციან... გავყურებ და უნებლიეთ მაგონდება მამაჩემის, შაქრო დარჩიას, ერთი მონათხრობი, რომელიც ხხვებისგანაც მსმენია და იმ თაობის განწყობილებას გამოხატავს.

ხილაურის კოლმეურნეობას ნასაკირალის ტერიტორიაზე ჩაის პლანტაციასთან ერთად ტყეც ჰქონდა, რომელსაც ამ ბოლო დროს სხვა დაეპატრონა. ომიდან დაბრუნებული მამაჩემი ერთხანს მეველედ მუშაობდა და ამ ტყის დაცვაც ევალებოდა. ტყე კი სოფლიდან საკმაოდ შორს მდებარეობდა.

- ერთ დღეს, მივედი, - ჰყვება მამაჩემი, - და ვხედავ: ვიღაცას მოუჭრია და წაუღია გამხმარი, ღრუიანი ბლის ხე, რომელიც ისეთი მსხვილი იყო, ორ კაცს გაუჭირდებოდა ხელების შემოწვდენა, და სხვად არაფრად გამოდგებოდა, თუ არა წისქვილის კოდად. მოსაზღვრედ მელექედურის ტყე იყო. მას საუკეთესო ვაჟკაცი და მონადირე მათე ღლონტი იცავდა.

- ამ ხეს ვინმე დუაბზუელი ან ბახველი წაიღებდა, - მეუბნება მათე, - მაგათ ეზოების წინ ბახვისწყალი ჩამოუდით და ბევრს საკუთარი წისქვილი აქვს.

დავაჯექი ცხენს და ამ შორს მდებარე სოფლებისაკენ გავწიე. ჩამოვუვლი და ყველა ოჯახს ვეკითხები: წისქვილის საკოდე ხე მაქვს გასაყიდი და ვინმეს ხომ არ გჭირდებათ-მეთქი. ვერაფერს მივაგენი. გადავედი სოფელ ბოხვაურში. ერთ ოჯახში მითხრეს: ამა და ამ ბიჭებს უნდოდათ, მაგრამ ამ ორი დღის წინ მოიტანესო.

მივადექი მათ ეზოს. დაძახებაზე ლამაზი, ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. ვეუბნები: თურმე, საკოდე ხეს ეძებთ და მე ვყიდი-მეთქი.

- გვხდები, გვხდები, რაზეც მობრძანებულხართ, ჩამობრძანდით შინ! - უხერხულად იღიმება და ჭიშკარს აღებს, - კი, ის ხე ჩვენ წამოვიღეთ, გთხოვთ, ჩამობრძანდეთ!

ჩავედი. დედამისს დაუძახა, არაყი და ჩურჩხელა გამოატანინა. მალე მეორე ძმაც გამოჩნდა. მამა ომში დაღუპვოდათ. ძმები სტუდენტები ყოფილან.

- როგორ მოახერხეთ ასეთი მსხვილი ხის წამოღება? - გეკითხები მე.

-ასე და ასეო, ამიხსნეს.

- ჰოდა, ასევე დადეთ ეს ხე იმ ურემზე და ხილაურის კოლმეურნეობაში მიიტანეთ-მეთქი.

- მაგას ნუ გვიზამთ და, რაც გნებავთ, გადაგვახდევინეო. - მეხვეწება ორივე.

რამდენადაც შეიძლებოდა, იაფი გადავახდევინე და ის ფული კოლმეურნეობაში მივიტანე. ბუღალტერმა მითხრა: კაცმა ამდენი იარე და ის ხე აღმოაჩინე, მასში აღებული ფული შენთვის ალალია და ჯიბეში ჩაიდეო.

-აბა, ამას როგორ ვიზამდი! - დაამთავრა თხრობა მამაჩემმა.

სად გაქრა დღეს ეს ერთგულება და პატიოსნება?!

ხილაურელებს რომ სათითაოდ ესაუბრები, ყველას კარგად მოეხსენება, რა უბედურებაცაა მათთვის ტყის გაჩეხვა. პირველი შედეგები უკვე იწვნიეს. შარშან ადიდებულმა სუფსამ და მამათიხლელემ მთელი მერის ტერიტორია დატბორა და წყალსა და ქვიშაში მდგომი სიმინდები დაუმუშავებელი დარჩა, ბევრსაც საყანე ნაკვეთები წარსტაცა. მერე კი სოფლის ძირითადი სასიმინდესაყანე ფართობია.

უტყეოდ დარჩენილი ყვავები მოსახლეობის ეზოებისაკენ დაიძრნენ, მაღალი ხეების კენწეროებზე შემოსხდნენ, შინაურ ფრინველებს დაერივნენ და ოჯახებს ქორსა და მიმინოზე მეტი ზარალი მიაყენეს. ყველას გასაკვირად, ეს შაოსნები ქათმის ბუდეებიდან კვერცხებს იპარავდნენ...

ხილაურელები იმასაც მშვენივრად ხედავენ, რომ კიდევ ერთი თუ ორი წელი და სოფელში საკარმიდამო ნაკვეთების გარეთ მოსაჭრელი ხე აღარ დარჩება. მიუხედავად ამისა, ყველანი დამარქაფებულნი არიან, არ დამახწრონო, ერთმანეთს ეჯიბრებიან და მეტ და მეტ ხეს ჭრიან. მარტო თავიანთ კერაზე ცეცხლის დასანთებად ან საკუთარი მშენებლობისათვის (სადღაა მშენებლობა!) მასალად რომ იყენებდნენ, ტყეების გამოზოგვა რამდენიმე წლით შეიძლებოდა, მაგრამ უსახსროდ დარჩენილი ხალხი ხე-ტყეს გამალებით ჰყიდის და ჩვენს ქალაქებსა და თურქეთის ბაზარს ერთი ბეწო საქართველოს ტყეები რას აუვა!

- ასე მგონია, - მეუბნება ზალიკო დარჩია, ახალგაზრდა კაცი, - მე რომ მთავრობა ვყოფილიყავი, ტყეების ასე სწრაფად მოსპობას რამდენადმე მაინც შევაჩერებდი. როგორც სამეურნეო სავარგულები დავარიგეთ, ასევე დავანაწილებდი ტყეებსაც და, ნახავდით, ხალხი საკუთარს მეტი მოფრთხილებით თუ არ მოეპყრობოდა.

ვერ გეტყვით, ამგვარი გადაწყვეტა საქმეს უშველიდა თუ არა, არც ის ვიცი, საწვავის უწინდებურად ხელმისაწვდომ ფასებში შემოტანის გარდა, რა შეიძლება გამოგვეყენებინა, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ, რამდენიმე წელია, ჩვენს ტყეებს სახელმწიფოებრივი მზრუნველობა აკლია ... მართალია, არსებობს ბუნების დაცვის არაერთი სამსახური, ... ეკოლოგიური პოლიცია, პარლამენტისა და მთავრობის სხდომებზე ზოგჯერ ტყეების დაცვა-აღდგენაზე გაისმის ლაპარაკი... მაგრამ ყველაფერი ეს იყო და არის ფორმალური, უნიათო და ფუჭი, ხოლო მდგომარეობის გამოსწორების ნიშანწყალი არ ჩანს.

სად არიან „მწვანეები"? კარგა ხანია, ფერი იცვალეს! ამ ახალგაზრდებმა ხუდონჰესისა და სხვა ენერგორესურსების მოსაპოვებელ ღონისძიებათა დამუხრუჭებაში ლომის წილი გაიღეს. ამით საზოგადოებას თავი პატრიოტებად გააცნეს, ასპარეზზე გამოვიდნენ, ხელისუფლებასა და ხარფიან ადგილებზე მოკალათდნენ. დღეს კი არ ჩანს ამ წმინდა ეროვნული საქმის მოსაგვარებლად რას აკეთებენ ან რას აპირებენ.

მკითხველს ალბათ ირონიულ ღიმილს მოჰგვრის ის, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ჩემი პატარა სოფლის ტყის დაცვას ვთხოვ, მაშინ როდესაც ყურის ძირში, თბილისშივე, კუს ტბის შემოგარენის ხელოვნური ნარგავების მოსავლელად ხელი არავის გაუნძრევია. ისეთებიც ბლომად არიან, ვინც ამბობს: დღეს, როდესაც საქართველოში საშინელი სიდუხჭირეა, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა შიმშილობს და ბევრიც შიმშილით იხოცება, რა დროს ხესა და ტყეზე ლაპარაკიაო. თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ მთავრობა, რომელსაც უნარი არ შესწევს ბუნება დაიცვას, ტყეს მოუაროს, ის თავის ქვეყანასა და ხალხსაც ვერ მოუვლის და მისგან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერის ერთიანობის აღდგენასა და შენარჩუნებას არ უნდა მოველოდე!

„გაპრიალებული ნაჯახი სახელმწიფო ტყეში!" - ჩვენი სასიქადულო მწერლის, ნიკო ლორთქიფანიძის, ეს სახოვანი სიტყვები კვლავ შემზარავ კონკრეტულ სინამდვილესაც გამოხატავს და განმაზოგადებელი სიმბოლური შინაარსიც აქვს. „გაპრიალებული ნაჯახი" ერის კისრისკენაა მიმართული და მას თავის წაცლით ემუქრება! გამოჩნდება კი ისეთი მხეჭაბუკი, ვინც ამ ურჩხულს დაამარცხებს?!

ბორის დარჩია

---

ივ. ჯავახიშვილი – 120

# ივანე ჯავახიშვილის ნაკლებად ცნობილი წერილები

სრულდება ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავი. გადავწყვიტეთ გამოვაქვეყნოთ ციკლი წერილებისა დიდი ქართველი მეცნიერის, საქართველოს ისტორიის სჯულმდებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ამ მიზნით ვეწვიეთ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორს ბატონ ვახტანგ გურგენიძეს. მან გვირჩია, ამჯერად გამოგვექვეყნებია დიდი ივანეს წერილი, რომელიც ეხება მცხეთის ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობისა და რუსეთში გატანილი ქართული წერილობითი და სხვა სახის საისტორიო მასალების დაბრუნებას.

პირველი წერილის ირგვლივ ბატონმა ვახტანგმა მოგვცა „მცირე" განმარტება:

- აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის ქვემოთ გამოქვეყნებული წერილი მრავალმხრივ საინტერესოა ჩვენთვის, სიძველეთა დაცვის მუშაკებისათვის, ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებულ ყველა ადამიანისათვის. აქ, მთელი მეცნიერული პრინციპულობითაა გამოკვეთილი დიდი მეცნიერის დამოკიდებულება ქართველი ერის ისტორიის როგორც წერილობითი, ისე ნივთიერი ძეგლების გამოვლენის, დაცვისა და გამოყენებისადმი. საკითხი ეხება ერთი მხრივ საქართველოდან გატანილ და რუსეთის სხვადასხვა ადგილებში დაცულ ქართული ხელნაწერებისა და სხვა სახის ექსპონატების სამშობლოში დაბრუნების ისტორიას, მეორეს მხრივ, - მცხეთის იმ ადგილების არქეოლოგიური გათხრების აუცილებლობას, რომელსაც ელექტროსადგურის აგების შემდეგ ელოდა დატბორვა. მეორე საკითხთან დაკავშირებით წერილში გადმოცემულია ის მიზეზი, რამაც ჩაშალა არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც თავისი ხარჯებით კისრულობდა პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი...

შემდგომში ასეთი გათხრები ვეღარ მოხერხდა და წყალქვეშ მოექცა, როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობდა, „დიდი კულტურული განძეულობა"...

გარდა ამისა, ამავე წერილში ივ. ჯავახიშვილი ჩვეული პირდაპირობით კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს „ჩვენი"-ს ფსევდონიმით გაზეთებში გამოქვეყნებულ ქართველ მეცნიერთა შეურაცხმყოფელ კორესპონდენციას და მის ავტორს.

გასაგები რომ გახდეს, ძირითადი მიზეზი, რისთვისაც დაიწერა ივ. ჯავახიშვილის ასეთი მკაცრი პასუხი, მოვიტანთ რამდენიმე ამონაწერ-გამონათქვამს „ჩვენის" კორესპონდენციიდან: „ათეულმა ქართველმა პროფესორმა, რომლებმაც რამდენიმე ათეული შარვალი გაცვითეს, წაიკითხეს ასეული წიგნები... ვერ გამოთქვეს ვერც ერთი ცოცხალი აზრი"; „უკაცრავად პასუხია, მეცნიერები"; „პროვინციალურ რუტინიორობაში და ეროვნულ კარჩაკეტილობაში ჩაფლული და დახავსებული ადამიანები"; „პროფესორული ნაციონალიზმის ტროგლოდიტები (ველური, უკულტურო, ბნელეთის მოციქულები)"; „დახავსებული, სასიკვდილოდ გამზადებული ხალხი" და სხვ.

და ეს წერილი ეხება იმდროინდელ ქართველ მეცნიერებს - პეტრე მელიქიშვილს, ივანე ჯავახიშვილს, აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს, ექვთიმე თაყაიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, ივანე ბ. რიტაშვილს, კორნელი კეკელიძეს, დიმიტრი უზნაძეს, გრიგოლ წერეთელს, მოსე ჯანაშვილს, სიმონ ყაუხჩიშვილს, გიორგი ჩუბინიშვილს, ალექსანდრე ჯანელიძეს, ანდრია რაზმაძეს, იოსებ ყიფშიძეს, ფილიპე გოგიჩაიშვილს და სხვ. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

გთავაზობთ ივ. ჯავახიშვილის საპასუხო წერილს 1924 წლის 2 ივლისის გაზეთებში „ზარია ვოსტოკასა" და „კომუნისტში" „ჩვენი"-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ კორესპონდენციაზე: „პროფესორი, რომელმაც სთქვა სიმართლე შოვინისტ პროფესორებზე".



- გაზეთ „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" 2 ივლისის ნომრებში ქართულად და რუსულად „პროფესორი, რომელმაც სთქვა სიმართლე შოვინისტ პროფესორებზე", ერთი და იმავე ავტორის წერილი დაიბეჭდა. თავისი ვინაობა მას „ჩვენი"-ს ფსევდონიმით აქვს აღნიშნული. „ჩვენის"-ს სიტყვით პროფესორ ნ.მარმა აღმოაჩინა, - „რომ ადამიანის მეტყველების ყველაზე უფრო ძველი ნაშთების პოვნა შეიძლება კავკასიის და პირინეის ზოგიერთი ერების კილოკავებსა და ენებში, რომ ამ (ე.წ. იაფეტური) ენების შესწავლას შეუძლია ნათელი მოჰფინოს ევროპის პირველ-ყოფილი მცხოვრებლების ცხოვრებას და რომ ის ძველი ენები, რომელთა შესწავლაზე მუშაობდნენ დღემდე ევროპის მეცნიერები, წარმოადგენენ დაგვიანებულ ზედნაშენს იაფეტურ ენებზე".

„ჩვენისავე" ცნობით, ევროპელ მეცნიერებს პროფესორ ნ.მარის ეს აღმოჩენა არ უცვნიათ და ან მდუმარებით შეხვდრიან, ან თავიანთ კრიტიკულ წერილებში ნ.მარს ქართველ, ან კავკასიელ ბრიყვს უწოდებდნენ, რომლის შრომებს უფრო ახირებულობის ინტერესი აქვს, ვიდრე მეცნიერული. ევროპელ მეცნიერთა წინააღმდეგობისდა მიუხედავად პროფესორი ნ.მარი თავისი დედაენის, ე.ი. ქართულის განსაკუთრებული ღირებულების აზრის განმტკიცებისათვის იღვწოდა. „ჩვენი"-ს სიტყვით, ნ.მარის პიროვნება ამის გამო ყოველი ქართველისათვის და კავკასიელისათვის საყვარელ და ძვირფას პიროვნებად უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამის მაგიერ საქმე თურმე სულ სხვანაირად დატრიალდა. რაღაც მიზეზით მარმა არა სავსებით პატივისცემით მოიხსენია ქართველი პროფესორების აზროვნება. მან აღნიშნა, რომ ის წყარო, რომლითაც იკვებება ქართველი პროფესორების სამოქალაქო სიმამაცე, არის „ზოოლოგიური შოვინიზმი". ეს საკმარისი ყოფილა, რომ ქართველ მეცნიერებს ბრძოლა გამოეცხადებინათ მარისათვის, ლანძღვის წერილი გაეგზავნათ მისთვის და უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის ნებართვა არ მიეცათ, შეეჩვენებინათ კიდეც და როცა თბილისში ჩამოვიდა, მის ლექციას არ დასწრებოდნენ. ამასთანავე წერილის ავტორი უშვერის სიტყვებით ლანძღავს და მასხარად იგდებს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორებს, რომელნიც ვითომც ასე მოექცნენ ნ.მარს.

საქმის ნამდვილი გარემოება და ვითარება კი სულ სხვანაირი იყო და არის. საქართველოს სსრ რესპუბლიკის მთავრობამ რსფსრ მთავრობის წინაშე რუსეთში არსებული ქართული სიძველეებისა და კულტურის ძეგლების საქართველოში დაბრუნების საკითხი აღძრა, რაზედაც სამეცნიერო აკადემიის წინააღმდეგობისდა მიუხედავად, რუსეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა. მოწინააღმდეგე აკადემიკოსთა მეთაურად სწორედ ნ.მარი ბრძანდებოდა. საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წინადადება მისცა ექსპერტებად დაესახელებინა მეცნიერნი, რომელნიც შერეულ რუსეთ-საქართველოს წარმომადგენელთა კომისიაში მონაწილეობას მიიღებდნენ საქართველოში დასაბრუნებელი საგნების გამოსარკვევად. სამეცნიერო საბჭომ მთავრობის ეს მოთხოვნა აასრულა, წარმომადგენლები დაასახელა და თანაც მათ დაავალა, რომ საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარებისა და ნებაყოფლობითი მშვიდობიანი შეთანხმების გზაზე მდგარიყვნენ იმ შემთხვევაშიც, როდესაც რუსეთ-საქართველოს მთავრობის უკვე დადებული შეთანხმების ძალით საქართველოს ესა თუ ის ძეგლი უდავოდ უნდა გადმოსცემოდა. სწორედ ამ მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს წარმომადგენლებმა ხელნაწერების ნახევარზე მეტი რუსეთის სამეცნიერო აკადემიასა და მეცნიერებს დაუტოვეს. შეთანხმების ძირითადი დებულებების შემუშავებაში, რომლის მიხედვით ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, ნ.მარიც იღებდა მონაწილეობას. როდესაც ორივე მხარისაგან ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად საქართველოს მისი კუთვნილი ნაწილი ძეგლებისა უნდა ჩაბარებინა, რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენლებმა შეთანხმების ტექსტის ყოველ დებულებათა ისეთი განმარტება დაიწყეს, რომ საქართველოს თითქმის არაფერი რგებოდა. და ამ საშუალებით მათ უკვე დადებული შეთანხმების გაბათილება სურდათ. რუსეთ-საქართველოს მთავრობათა ორგანოებმა, რომელთაც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენელთა ამ ახლად ატეხილი დავის გარჩევა მოუხდათ, საკითხი ისე გადაწყვიტეს, როგორც საქართველოს წარმომადგენლები ამტკიცებდნენ და როგორც შეთანხმების დებულებაში იყო აღნიშნული. ძეგლების ჩაბარება დაიწყო. ამ ჩაბარების დროს ნ.მარი უკვე რუსეთში არ იყო, არამედ უცხოეთში იყო გამგზავრებული. როცა დაბრუნდა, რუსეთის სამეცნიერო აკადემიას წარუდგინა ყოვლად შეუწყნარებელი კილოთი დაწერილი და შეურაცხმყოფელი სიტყვებით და გამონათქვამებით შემკული პროტესტი, რომელშიც ძეგლების ეს გადაცემა უგუნურებად იყო წოდებული. სხვათა შორის ნ.მარის პროტესტში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: „ვამტკიცებთ, რომ უგუნურობაა, როდესაც მიაჩნიათ ეს საქმე ძალდატანებითი გზით

გაგრძელება მე-8 გვ.

მე-11 კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

# კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“

## განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №44, 45, 46, 47.

ტრაგიკულის განცდა კი გვეუფლება არა იმდენად თვით ფარსმან სპარსთან მიმართებაში, არამედ მისი მშობელი ქვეყნის მიმართ, ვინაიდან, ეს კაცი თავისი გენიალური ჭკუით, იმავე წარმატებით შეიძლებოდა ქვეყანას დიდ სიკეთედ მოვლენოდა, როგორი წარმატებითაც დიდი ბოროტების ქმნა შეუძლია.

კონსტანტინე გამსახურდიას იგი ქართველ კონდოტერთა წინაპრად მიაჩნია. რამდენი რამ არის საგულისხმო ამ განაცხადიდან.

ერთია ქვეყნისათვის დაკარგული ნიჭი. მეორეა ამ დანაკარგის ბოროტებად შემობრუნება იმავე ქვეყნისთვის. მსოფლიოს დიდი ქვეყნების ბედს წარმატებით ატრიალებდნენ ქართველი კონდოტიერები. იმავდროულად ან ანგრევდნენ საკუთარ ქვეყანას, ან სულაც დავიწყებული ჰქონდათ მისი არსებობა. დღემდე გაწვალებს კაცს ფიქრი, რა იქნებოდა, მათ რომ კეთილი ნება ჰქონოდათ და, ამდენი თუ შეეძლოთ, იმის მეათედი მაინც ერგოთ საკუთარი სამშობლოსათვის; რაც ავნეს...

ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ამ კონდიტიერთა წინაპრის, ფარსმან სპარსის ცხოვრების გზა.

ეს ყველასათვის უცხო და უთვისტომო კაცი, ვისთვის სპარსი, ვისთვის არაბი.

ვისთვის წარმართი, ვისთვის სოფისტი, სინამდვილეში ქართველი გახლავთ, შავშეთის ერისთავის შვილი.

„პაპა სუმბატი – მუდამ მოღუშული, ქანგისფერი თორიანი ვაჟკაცი.

მამა – ბაქარი, ჭროლათვალება, ქერა რაინდი.

დედა – ნანაი, მუდამ ლოცვებში ჩაფლული, ძილისპირების ტკბილი მგალობელი“.

მშვიდობა და კეთილდღეობა სუფევდა სუმბატ და ბაქარ ჩორჩანელების ოჯახში.

მაგრამ სარაინდო საქმეებისთვის შეღერებულ ფარსმანს, შინააშლილობის წყალობით, თანამემამულეთა წინააღმდეგ მოუწია პირველად ხმლის ტრიალმა.

ბაგრატ მესამეს არ დაემორჩილა სუმბატ ჩორჩანელი, რისი შედეგიც იყო მისი საერისთავოს იავარქმნა.

სუმბატი სიკვდილით დასაჯეს.

ბაქარი და მისი ვაჟი ფარსმანი სამ თვეს უმკლავდებოდნენ თუხარისის ციხეში მეფის მხედრობას. შემდეგ ათას მონასპასთან ერთად ბიზანტიაში გაქცევით უშველეს თავს.

აქედან კი იწყება მამა-შვილის გმირული საგა სხვათა ომებში...

ბაქარი ბასილი კეისრის მეამბოხე სარდალს ფოკას მიემხრო თავის ათას მონასპასთან ერთად.

დამარცხდა ფოკა. თავის თავს უშველა. ალყაშემორტყმული ქართველები კი ბოლომდე იცავდნენ ციხეს...

ბაქარს თავი მოსჭრეს გამარჯვებულთა.

ფარსმანი გადარჩენილ სამას იბერიელ მონასპასთან ერთად ტყვედ წაიყვანეს.

ზის ფარსმანი იმავ აქლემზე, რომელზედაც ხურჯინით ჰკიდია მისი მამის მოჭრილი თავი.

წყალი – იხვეწებიან ტყვეები. ერთადერთი ფარსმან ჩორჩანელია, რომ არ ითხოვს წყალს, რადგან სიკვდილი ენატრება ამ ურწყულ და უკაცრიელ ველებზე.

ღილეგი.

შემდეგ გაქცევა.

ხეტიალი უდაბნოდან უდაბნოში. ქალაქიდან ქალაქში. სამეფოდან სამეფოში.

დაწინაურდა ხალიფა ალ ჰაქიმის კარზე.

ბაგრატ კურაპალატისა და ბიზანტიის კეისრის სიძულვილმა რჯული გამოაცვლევინა – აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარი დაირქვა.

განსაცვიფრებელ სიმამაცეს იჩენდა ხალიფას მტრებთან ბრძოლაში. ალ ჰაქიმის მარჯვენა ხელი იყო.

ბერძნებთან ომში მძიმედ დაიჭრა.

განკურნება. ისევ ომები.

ალ ჰაქიმმა ბიზანტიონში წარგზავნა დესპანები. მათ აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარი ხელმძღვანელობდა.

დესპანების ხელმძღვანელი ახლა კონსტანტინოპოლში დარჩა...

ქრისტიანობა მიიღო და მისი რაიონდობითა და განსწავლულობით მოხიბლულმა კეისარმა ხუროთმოძღვართუხუცესობა უბოძა.

ვერც აქ გასძლო დიდხანს. ქალაქიდან გაიპარა, ხუროთმოძღვართუხუცესის კვერთხი გლახაკის არგანზე გადასცვალა და როგორც დერვიშმა, მთელი ეგვიპტე შემოიარა. მათხოვართა ხანაგებში ათევდა ღამეს.

უკვე ხანშიშესულს სამშობლო მოენატრა.

ბაღდათის ხალიფამ თბილისის ამირასთან წარგზავნა (თბილისი ხომ არაბებს ჰქონდათ დაპყრობილი). თბილისში დაირქვა ფარსმან სპარსი. თუხარისის მშობლიურ ციხეში აპირებდა იდუმალ ჩასვლას, როცა ბაგრატ მესამის მეომრებმა შეიპყრეს.

ისევ ღილეგი.

შემდეგ ბაგრატ მეფემ იმსახურა თარჯიმნად.



გალაკტიონი და კონსტანტინე

გიორგი პირველმა ხუროთმოძღვართუხუცესობა უბოძა. ასეთია მოკლედ ფარსმანის ქარტეხილიანი ბიოგრაფია.

ახლა მისი განსწავლულობა ნახეთ.

კაიროსა და კონსტანტინოპოლის საუკეთესო ტაძრები უშენებია, როგორც ხუროთმოძღვარს.

ფლობდა უამრავ ენებს, უდიდეს ცოდნას. იყო საუკეთესო ექიმი, ვარსკვლავთმრიცხველი, სამყაროს იდუმალებათა შემცნობი.

წამების სიზუსტით გამოთვალა მცხეთაში მოსალოდნელი მიწისძვრის შესახებ. დაუფლებული იყო ინდოელ ფაკირთა სიბრძნეს, უამრავ მოძღვრებას.

გაბედულება და სულიერი სიმტკიცეც საარაკო ჰქონდა.

როგორც ალ ჰაქიმის ელჩი, ბიზანტიის იმპერატორთან მიწას არ ემთხვია. სხვა მხრივ მოუნდომეს დამცირება, სპეციალურად დაბალი კარი გააკეთეს, რათა ოთხად მოკეცილი ხლებოდა კეისარს. ფარსმანი კი... შებრუნდა და ჯერ უკანალი შეიტანა ბასილი დიდის დარბაზში...

მეფე გიორგის ირიბად, მოიარებით, მაგრამ ისეთ მწარე სიმართლეს მიახლის ხანდახან, კაცთაგანი რომ ვერ უბედავს გვირგვინოსანს.

გაუგონარ ტანჯვასაც რაინდულად გაუძლო უკვე მოხუცებულმა და რკინისმკვეთელ ხმალთა ჭედვის საიდუმლოც ისევე უთქმელად გაიყოლა საფლავში, როგორც საიდუმლო თავისი ვინაობისა.

ერთი სიტყვით, სხვაზე აღმატებული ყველაფერი ჰქონდა ამ კაცს – ცოდნაც, გაბედულებაც, სიმტკიცეც.

ხელოვანიც იყო, დიდი მეომარიც და დიდი მეცნიერიც, მაგრამ სწორედ ამით, ყოველივე ამით აღჭურვილი გახლდათ იგი შემაძრწუნებლად საშიში გარშემო მყოფთათვის, ვინაიდან მას ამოძრავებდა მხოლოდ ცინიზმი და სიძულვილი გარშემო მყოფთა მიმართ.

ადამიანს, რომელსაც უარყოფილი აქვს ის საყრდენი ღერძი, რასაც სიკეთე ჰქვია, დიდი ნიჭი, დიდი ენერგია და დიდი შესაძლებლობები იმ ქარიშხალს ამსგავსებს, რომლის ამოვარდნას მხოლოდ დამანგრეველი შედეგები ახლავს...

არანაირი პრინციპი ფარსმანს არ გააჩნია. უფრო სწორად, მისი პრინციპი უპრინციპობაა.

მას შეუძლია ალ ჰაქიმი ბასილი კეისარზე გაყიდოს, ბასილი ისევ სარკინოზთა ხალიფაზე, ხოლო გიორგი მეფე ყველაზე და სრულიად უსასყიდლოდ... აქი გასცა კიდეც კეისრის მოციქულებთან საქართველოს მეფე, თუმცა, მისი გამყიდველობა მთლად „უანგაროც“ არ არის. ერთადერთი, რაც მას წყალივით წყურია, ეს შურისძიების გრძნობაა.

იმ საზოგადოებაში, სადაც თვით მეფესაც კი სჯერა, რომ შეცოდებათა გამო ხატი შემოსწყრა და სასახლის პალატიდან ნიკორწმინდის მონასტერში გაიპარა, ყოვლისმცოდნე და სხვათაგან დაწინაურებული ფარსმანის ცინიზმს იქნებ ჰქონდეს კიდეც ახსნა, მაგრამ შემზარავია ის სცენა, როდესაც იგი თანამემამულეებს თვით საკუთარ შვილსაც კი, რომელიც გონჯი მისცა განგებამ და ამითაც დასაჯა, მიწისძვრის დროს დასაღუპად იმეტებს.

წინასწარ იცის და არავის, ვარდისახარის გარდა, არ აუწყებს მოსალოდნელი საშინელი უბედურების შესახებ.

არც ამ მიზანტროპ კაცთა მოძულედ ქცეული გენიოსის სიცოცხლე დასრულდა ბუნებით სიკვდილით. ჯერ დადაღეს, როგორც მწვალებელი, შემდეგ წამებაში ამოხდა სული.

ეს კაცი შურისძიების წყურვილმა გააბოროტა. ბაგრატიონების სიძულვილი კი მთელი ქვეყნის სიძულვილად ექცა. ქვეყნის ღალატის მოლიპულ გზაზე, ესეც ერთი ნაცნობი სურათია.

### სიძულვილზე დაფუძნებული ერთობა

რამდენჯერ დარჩენილა ადამიანი პირშიჩალაგამოვლებული, რამდენჯერ მწარედ უწვნევია ის, რაც საფუძველშივე უზნეო ბრძოლაში გამარჯვების შედეგად მოუმკია. ჩვენს შორეულ და ახლო წარსულზე დაკვირვება მხოლოდ იმ დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ ადამიანები საკუთარი შეცდომებისაგან ვერაფერს სწავლობენ... აგერ ტანჯვა-წვალების შემდეგ გადაიგდო კაცმა ერთის უღელი და ნაცვლად იმისა, თავისუფლებას ზიარებოდა, აღმოჩნდა, რომ ქედი მხოლოდ მეორისათვის გაუნთავისუფლებია უღლის დასადგმელად...

„ადამიანებს ასე ჰგონიათ, როცა ერთ უსამართლობას მეორეთი ცვლიან, მდგომარეობის შეცვლა მოუტანდეს თითქოს მათ შვებას“ – კონსტანტინე არსაკიძის ეს სიტყვები იმ შინააშლილობის შედეგთა ბრძნული განჭვრეტაა, რომელზედაც უკვე გვქონდა საუბარი.

მართალია, ცენტრალურ ხელისუფლებას მტკიცე ხელი აღმოაჩნდა და გიორგი პირველმა ბოლო მოუღო შინაურ მტრებს, მაგრამ რომანის ცალკეული პასაჟები იმ წინასწარმეტყველურ შეგონებასაც შეგვახსენებს, რომლის გაუთვალისწინებლობამ შინაური ომების ყველა დროის ალამდარები, გამარჯვების შემთხვევებშიც კი, ეშაფოტამდე მიიყვანა.

კერძოდ, ლაპარაკია სიძულვილზე დაფუძნებული ერთობის ბუტაფორიულობაზე. ერისთავები, ხევისბერები გიორგი მეფის სიძულვილს გააერთიანებინა და დაერაზმა ერთმანეთის მხარდამხარ, მაგრამ...

მოვუსმინოთ თვით მწერალს: „თალაგვა კოლონკელიძეს დროებით უჭერდნენ ხევისბერები მხარს. დაამარცხებდნენ ზვიადის ლაშქარს? მეორე დღესვე თავს წასჭრიდნენ თვალდამწვარ ერისთავს, რადგან გიორგი მეფისადმი სიძულვილი აერთიანებდა ხევისბერებსა და ხევისთავებს მასთან“.

ეს სიტყვები, ცხრა საუკუნის წინანდელი ამბებისადმი მიძღვნილი, ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ჩვენი დროის მისამართითაც.

ნუ დავიწყებთ მწერლის წინასწარმეტყველურ ნიჭზე საუბარს, ვინც თუნდაც ქართველ მგზნებარე რევოლუციონერთა ბიოგრაფიებს გადაიკითხავს (მწერალი კი ყოველივეს საკუთარი თვალით ხედავდა), ნახავს, რომ მათგან უმრავლესობა თითქმის ერთდროულად, 1937 წელს არის მიცვლილი სწორედ იმათი წყალობით, ვისთან ერთადაც ფხოვის ხევისბერებივით ერთ დროს ერთ მაგიდას უსხდნენ... სიძულვილზე აგებული ერთობით გამარჯვებულნი, გამარჯვების შემდეგ სიძულვილის რეალიზაციას, როგორც წესი, ერთმანეთზე ახდენენ.

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო“

მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაშია ეს ასე, როცა ამ ერთობას საფუძვლად სიყვარული და ზნეობა უდევს.

გაგრძელება იქნება

ფრანგული პრესიდან

# ჰილარი კლინტონი



ჩიკაგოს „დიდ წირვამდე“ (იგულისხმება დემოკრატთა ყრილობა) რამდენიმე კვირით ადრე, საპრეზიდენტო კამპანიის მესვეურთ ახალი თავსატეხი გაუჩნდათ: მიუშვან თუ არა პრეზიდენტის მეუღლე, ჰილარი ტრიბუნასთან? თვით ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, თუ რამდენ საზრუნავს უჩენს პრეზიდენტის გარემოცვას „პირველი ლედის“ დაუოკებელი და მშფოთვარე ხასიათი. ჰილარი როდამ კლინტონი მოკაშკაშე ვარსკვლავს მოგაგონებთ. იგი ჩინებული ორატორია და ყოველი მისი საჯარო გამოსვლა ამომრჩეველ ქალბატონთა აღტყინებას იწვევს. ერთი სიტყვით, ჰილარი არსებობს და ამ ფაქტს ვერსად წაუხვალ! მაგრამ, ბევრის აზრით, არსებობს, ცოტაოდენ „ჭარბად“. მას ერთი ზედმეტსახელი „Her husband “ (სიტყვების რთული თამაშია, „მისი ქმარი“, მაგრამ „ქმარი“ მდედრობითი სქესის ზედსართავით არის ნახმარი) ბევრს მიანიშნებს ამ მებრძოლი და ძალაუფლების მოყვარე ქალის ხასიათზე.

მაგრამ ჰილარი ჰილარია! ჯეკი კენედისგან განსხვავებით, მასზე ვერ იტყვი, რომ იგი „ამერიკის პაწაწინა რძალია“, მას არც რეიგანის მეუღლის, ნენსისთვის, დამახასიათებელი „სიბერეში ნაადრევად შესული თოჯინის“ გამომეტყველება აქვს და არც „დედილო“ ბუშის წმინდად „დიასახლისური“ იერი. „იგი ადამიანურ სითბოს ასხივებს, მაგრამ სიმხურვალეს მიკრო-ტალღოვანი ქურის სიზუსტით აკონტროლებს“ – წერს მართა შერილი თავის ერთ საგაზეთო სტატიაში.

არც ერთი პრეზიდენტის ცოლი ისე არ სძულებიათ, როგორც ჰილარი. რადიოკომენტატორები გამუდმებით დასცინიან და აკნინებენ მას. „მე მაოცებს ის, თუ როგორ აღიქვამენ ჩემს პიროვნებას. როდესაც ვუსმენ, რას ყვებიან ჩემზე, ღმერთმანი, ვფიქრობ, ასეთ ქალს მეც ვერ შევიყვარებდიმეთქი“ – აღიარებს ჰილარი. საკმარისია პრეზიდენტის მეუღლემ ინტერვიუში განაცხადოს, რომ მზადაა იშვილოს ბავშვი და წამსვე პოლიტიკურ მანიპულაციებში დასდებენ ბრალს. 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბილ კლინტონმა ერთი დიდი შეცდომა დაუშვა-იგი დაუფიქრებლად შეპირდა ამერიკელებს საჩუქრად ორ კლინტონს (ბატონსა და ქალბატონს) ერთის ნაცვლად. და აი, 1993 წელს თეთრ სახლში დაბინავებული ჰილარი, რომელსაც მისი ბრწყინვალე პროფესიული კარიერა ნებას არ რთავს ითამაშოს სტატისტის როლი, ბუნებრივია, ითხოვს გამორჩეულ ადგილს პრეზიდენტის გუნდში. მაგრამ, ვაგლახ, რომ ამერიკის კონსტიტუცია არავითარ განსაკუთრებულ სტატუსს არ ითვალისწინებს „პირველი ქალბატონისთვის“ – დემოკრატიის თაყვანისმცემელი ერი, ამა თუ იმ პიროვნების ნებისმიერ ოფიციალურ პოსტზე დანიშნაზე რომ მიდგება საქმე, აუცილებლად საარჩევნო ყუთებთან მისვლას ითხოვს. ჰილარი კლინტონისთვის კი ხმა არავის მიუცია! მიუხედავად ამისა, ჰილარი ჯიუტად უარობს დაიკავოს პრეზიდენტის მეუღლისათვის განკუთვნილი ადგილი თეთრი სახლის აღმოსავლეთ ფრთაში. დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ, მან სახლის პრესტიჟულ ნაწილში დაისაკუთრა სამუშაო ოთახი, პრეზიდენტის „მრგვალი კაბინეტის“ ახლოს, დასავლეთის მხარეს.

პრეზიდენტობის ერთი თვის თავზე, ბილ კლინტონმა ჰილარის ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმის გატარება მიანდო: საქმე ეხება ყველაზე მტკივნეულ საკითხს – ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულ გარდაქმნას, რაც 900 მილიარდ დოლარს, ანუ ეროვნული შემოსავლის 1/7 ითხოვს. ჰილარი 6 სამინისტროსა და 500 ექსპერტის ერთობლივი მუშაობის კოორდინატორი ხდება. საკუთარ აპარატში მას ვიცე-პრეზიდენტ ელ გორზე მეტი თანამშრომელი ჰყავს. უამრავი ფიცხი კამათი თუ დახურულ კარს უკან ჩატარებული შეხვედრები ვეებერთელა, 1342 გვერდიანი ანგარიშით დაგვირგვინდა, რომელიც, კონგრესისაგან დაწუნებული, მყისვე დავიწყებას მიეცა. სასოწარკვეთილი ჰილარი იარაღს ყრის. ამიერიდან მას ველარც კაბინეტის სხდომებზე ხედავენ და ვერც „მრგვალ კაბინეტში“ ე.წ. „ოთხშაბათის საუბრებზე“. გაზეთების ქრონიკებიც მხოლოდ მისი თმის ვარცხნილობის აღწერით იფარგლებიან. ერთმა ვინმე ხუმარამ სატელევიზიო ქსელში კატალოგიც გაავრცელა, რომელსაც „Hillary Hair “ („ჰილარის თმები“) უწოდა.

ყოველივე ამას ახალი უბედურებაც თან დაერთო. „პირველი ქალბატონის“ თავზე ცა მოიქუფრა. ჰილარის, პირველს ამერიკის პრეზიდენტების მეუღლეებს შორის, სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუხდა. საქმე გადასახადების დაფარვას ეხებოდა და კონგრესის კომისიამ ჰილარი კლინტონი დამნაშავედ ცნო. ჰილარიმ შეურაცხყოფა „გადაყლაპა“. საზოგადოებრიობის აზრით, ჰილარიმ გადამალა რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც, მოგვიანებით, რაღაც სასწაულით, მის აპარტამენტებში აღმოაჩინეს. „ნიუ იორკ ტაიმსის“ სარედაქციო სტატიების ავტორმა უილიამ საფირმა, ჰილარი კლინტონს „ცრუპენტელად დაბადებული“ უწოდა. ჰილარი საპასუხოდ მხრებს იჩეჩავს და ყველას შეახსენებს, რომ ჟურნალისტი ერთ დროს ნიქსონის უახლოესი თანამშრომელი იყო; თვით ჰილარი კი, ახალგაზრდა ვექილი, ნიქსონის „საიმპიჩმენტო“ კომისიაში მუშაობდა, რომელიც „უოთერგეითის საქმეს“ იძიებდა. „ნუთუ ბატონი საფირი დღესაც ნიქსონის სამსახურშია?“ – ირონიული ტონით კითხულობს ჰილარი.

ჰილარის დიდად წაადგა მისი წიგნის საყოველთაო წარმატება. ეს მისთვის შვებისმომგვრელ მოვლენად იქცა. წიგნი ჰილარის საყვარელ თემას, ბავშვების აღზრდას ეხება. აღსანიშნავია, რომ ავტორი, რომელსაც ბევრი ულტრალიბერალობას უკიჟინებს, ოჯახის პრობლემისადმი ერთობ ტრადიციულ მიდგომას ამჟღავნებს. ჰილარი მოუწოდებს ახალგაზრდებს თავი შეიკავონ ნაადრევი სექსუალური ურთიერთობებისაგან (21 წლამდე მაინც). ამასთან ერთად, იგი უარყოფითად ეკიდება გაყრას: „ძალიან ხშირად, ოჯახური სიმშვიდის შესანარჩუნებლად, ენაზე კბილი დამიჭერია. ჩემი მეუღლეც ასე იქცევა“. ჭეშმარიტ ადამიანურ ბედნიერებას ჰილარი შვილების აღზრდაში ხედავს. კლინტონების ერთადერთი ქალიშვილი, ჩელსი, მშვიდ ატმოსფეროში იზრდება და მშობლებისგან განსხვავებით, არ განიცდის პრესისა და ტელევიზიის გამუდმებულ მეთვალყურეობას.

სვებედნიერ ოჯახში აღზრდილი ჰილარი, თავის ერთ-ერთ სასკოლო თემაში წერდა: „მე მსურს ცოლად გავყვე სენატორს“. იგი ყმაწვილობიდანვე ოცნებობდა დასახლებულიყო ჩიკაგოს მდიდრული უბნის, ჯორჯტაუნის, ერთ რომელიმე მშვენიერ სახლში. 1970 წელს, როდესაც ბილ კლინტონი იელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ნაზ მზერას ესროდა ქალიშვილს, ჰილარიმ პირველმა გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი: „იცი, რას გეტყვი, რადგან ასე დაჟინებით მომჩერებიხარ, უმჯობესია ერთმანეთს გავეცნოთ“. ასე გადაეჭდო ერთმანეთს ბილისა და ჰილარის ბედი. ჰილარის კარიერა მეტეორის სისწრაფით მიიწევს წარმატებიდან წარმატებისაკენ. როდესაც მისი საქმრო არკანზასის შტატში პირველ ნაბიჯებს დგამს პოლიტიკურ ასპარეზზე, სწორედ ჰილარის სიტყვა და საქმე ხდება საარჩევნო კამპანიის მაორგანიზებელი და წარმართველი ძალა. ბილ კლინტონი დამარცხდა, მაგრამ, ისიც სათქმელია, რომ ამდენი ხმა მანამდე ამ მეტისმეტად კონსერვატორულ შტატში არც ერთ დემოკრატს არ მიუღია. 1977 წელს ჰილარი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული იურიდიული კაბინეტის „როზ ლაუ ფირმის“ სრულუფლებიანი პარტნიორი ხდება. ბილი გუბერნატორია, მაგრამ ოჯახის საყრდენი ჰილარია: 1990 წელს მისი ხელფასი 180000 დოლარს შეადგენს, ბილისა კი 25000.

დღეს ამ „ტანდემს“ 20 წლის თანამშრომლობა და ცოლქმრული ურთიერთობა ადუღაბებს, თუმცა არც ერთი არ მალავს, რომ ერთობლივი ცხოვრების მანძილზე „ბევრი ოჯახური ქარტეხილი“ გამოიარეს. პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველი, ჯეიმს კარველი, ასე ახასიათებს ჰილარის: „როდესაც ერთი და იგივე პიროვნება გაღვიძებისთანავე იწყებს ლაპარაკს და ძილის წინ, ბოლო სიტყვას იტოვებს, ეტყობა, მას მართლაც აქვს სათქმელი“. ვიღაც-ვიღაცეებმა ამ წყვილის მართლაც რომ არაორდინალური ურთიერთობა ერთი მოსწრებული სიტყვით მონათლეს: „Billary “ („ბილარი“). 1992 წელს, ფლორიდაში მოგზაურობისას, ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი ერთ პატარა გოგონას გამოესაუბრა, რომელმაც დედის შეკითხვაზე: „რა ჰქვია, თუ იცი, ამ ბატონის უფროსს?“ თვალისდაუხამხამებლად უპასუხა: „ჰილარი“.

ჟერომ გოდფრუა

(„პუენ“, 1996 წელი)

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

# კურიოზები

აკაკი გეწაძე

არც რა მიშველა ცირილმა,
არცა ცრემლების ღვნამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



* * *

**კარგა** ხანია ვაგროვებ და ვაქვეყნებ რაჭულ იუმორს. რამდენიმეს ახლაც გავიხსენებ. ზოგი ვარიანტულია.

რაჭველი სიმონიკა საცოლეს ეძებდა. კარგა ხანს ვერ შეარჩია. ამერიკიდან ჩამოსულმა იონამ უთხრა: ისევ მივდივარ ამერიკაში, წამომყევი და იქაურ ლამაზ და მდიდარ ქალს გათხოვიებო.

- ქვე სად არის ის შენი ამერიკაო? - დაინტერესდა სიმონიკა.

იონამ ხან რუკაზე აჩვენა, ხან გლობუსზე, ხან ისე განუმარტა, ხან ასე, ვერაფრით მიახვედრა. ბოლოს უთხრა: ჩვენში რომ დღეა, იქ - ღამეა, ჩვენში რომ ღამეა, იქ - დღეაო.

- მაგისთანა ქალი ქვე რათ მინდაო, - წამოიძახა სიმონიკამ. - მე რომ ავდგები, ის დაწვება, მე რომ დავწვები, ის ადგებაო.

* * *

**თბილის-ქალაქში** მიმავალი რაჭველები ქუთაისში ჩამოვიდნენ და მატარებლის მომლოდინენი სადგურის კიბეზე ჩამოსხდნენ. საღამოა. ქურდებმა მათი გაძარცვა განიზრახეს და უთხრეს: მატარებელი არ წავა, თუ არ მიაწექითო. დაეთანხმენ: რაკი ასეა, ქვე მივაწვეთო. აიკიდეს ხურჯინები და მიადგნენ მატარებელს. მიწოლისას ტვირთმა ხელი რომ არ შეგიშალოთ, ეგ ხურჯინები, ა, აგერ დააწყვეთო, ურჩიეს. მოიხსნეს ხურჯინები, ერთად დაალაგეს და მიაწვნენ მატარებელს. კარგა ხანს ეჯაჯგურენ. ერთმა მოიხედა და გახარებულმა სხვები შეაჩერა: ეყოფა, ხომ ხედავთ, რა შორს გაგვიწევია, ჩვენი ხურჯინები აღარც ჩანს, აღარც ისინი - ვინც ჩვენ ეს გვასწავლაო. დალოცეს მათი რჩევა-დარიგება, აწი მალე წავალთო.



* * *

**ბოტანიკის** მასწავლებელმა ჩორჯელ ბიჭუნას უთხრა:

- ჩამომითვალე, ბოსტნეულში რა შედისო.

- ეს ქვე რა საკითხავია, მასწ... რა შედის და - ქათამი, თხა. თუ შემოღობილია და ღორუკას უღლუკა არ უკეთია, ისიც შედისო, - მიუგო ბიჭუნამ.

* * *

**ერთმა** რაჭველმა დაიჩივლა:

- შიშით გოჭუნას ვერ ვკლავდი, რავარც კი ავაჭყვირებდი, უმალვე იქ მოცვივდებოდნენ მთავრობის კაცები, მაწვევინებდნენ და ჩემს ეზოშივე ჭამდნენ. ხერხი ვიხმარე. სანამ გოჭუნას დავკლავდი, ჯერ „დრუჟბას" ვრთავდი. ახლა „დრუჟბას" აჩრიალებას რომ გეიგონებენ, იმ წუთას გამორბიან.

* * *

**ჩვენებური** ქვითხურო სიკო ნატმელაძე ჰყვებოდა:

- ერთხელ კავკავში მივდივარ ფეხით ყაზბეგის გზით. ამემგზავრენ ეულად მომავალი ინდაურები. გამეხარდა, მგზავრები რომ ვიშოვე. მიდიან, მივყვები. დამეწია ოსი: ეს ჩემი ინდაურებია, რატომ მომპარეო. შენ შარზე ხომ არა ხარ-მეთქი, ვუთხარი, - კითხე ამ ინდაურებს: საით გაგიწევიათ-მეთქი. ყველამ ერთხმად შემომძახა: კავკავო. ჰოდა, რაკი ესენიც კავკავში მიდიოდნენ, ავემგზავრე-მეთქი.

* * *

**ჭოჭია** ბაზარში ყიდის ძროხას. მივიდა იმერელი: რას აფასებო? ათას ლარს ერთი თეთრი არ დააკლდებაო. ეს გამხდარი ძროხა და ათასი ლარიო?! - გაიკვირვა იმერელმა. შენ ეგ თვალუკები ხვარ გატყუებს, გამხდარს რა უგავს, ისეა გასისინებული, ცეცხლის ახლოს რომ დააყენო, ერთ წუთში ქონი დეიწყებს წვეთასო. თვალი თვითონ შენ გატყუებს, გამხდარ-გაწივებულია ისე, წისქვილში დაიფქვებაო. არ არის გამხდარ-გაწივებულიო. არისო. არ არისო. არისო. თუ გინდა, შენს თვალწინ ნემსის ყუთში გავაძვრენო. ვერ გააძვრენო. გავაძვრენო. ვერ გააძვრენო. ისე გავაძვრენ, მზე მაღლა იქნებაო. აპა, გააძვრინეო. შენ აქედან ფეხი არ მოიცვალო, მე მალე მოვალ და ნახავ, თუ ვერ გავაძვრენ, თანაც ყველაზე წვრილი ნემსის ყუნწშიო. წავიდა იმერელი. შეეშინდა ჭოჭიას: იმ მამაძაღლმა ეს ჩემი ძროხუკა ნემსის ყუნწში მართლა არ გააძვრინოსო და სასწრაფოდ კუდი გამოუსკვნა.

* * *

**თბილისში** ერთმა რაჭველმა მეორეს ხელი დაავლო და მიაჩაჩქებს ძალით. სად მიგყავარო? - უძალიანდება შეშინებული. მიაჩაჩქა თავისუფლების მოედანზე და გააჩერა. კაცო, აქ ქვე რატომ მომიყვანეო?. შენ გუშინ ხომ მკითხე, რა დროაო? ა, შეხედე ამ საათსაო.

* * *

**რაჭველ** ივანიკას ბერტყვისას მეშვიდე სართულიდან შარვალ-ხალათი გადაუვარდა და აჭყლოპინდა: კიდევ კარგი, არ მეცვაო.

* * *

**იონა** სტადიონზე შეიყვანეს. ოცდაორი გახდილი გიჟი ერთ ბურთს რომ დასდევს, ეს ერთხელ ადრე ხომ ენახეო, მაშინვე გაექცათ შინ.

* * *

**რაჭველებმა** გაიგეს თუ არა, „გურია" უმაღლეს ლიგაში გადავიდაო, მიულოცეს ასე: მეოცე საუკუნე თქვენია, ოცდამეერთე ჩვენი იქნებაო... და შეუდგნენ უმაღლესი ლიგის გუნდის დაკომპლექტებას: ქვე კარლოუკა გაგნიძე, ქვე მიშუკა მესხი, ქვე სლავუკა მეტრეველი, ქვე ფირუზიკა კანთელაძე, ქვე ვახტანგუნა რეხვიაშვილი, ქვე ძმები მაჩაიძეები - მანუჩარიკა და გოჩაუკა, ქვე მელაშვილი თენგიზუკა... ჰო, კიდე, რა ჰქვია... ჰო, გავაშელის ბიჭუნა... ქვე რომელი გუნდუკა გოუძლებს ამას!

ოღონდ მეკარე ვერ იშოვეს, ვინც კი გამონახეს, დაყოვნების რეაქცია აღმოაჩნდა:

მშვიდად უცდიდა, ბურთი კარში როდის შევარდებოდა, რომ მერე მოეგერიებინა.

* * *

**ჩემს** რომანში „არ მოკვდე სიკვდილამდე" არის ასეთი ამბავი: კეჭო ხედავს, რომ ყარამანს ფულის ფანტვა უყვარს და რომ შეუნახოს, განგებ სესხულობს, შინ რომ დავბრუნდებით, მაშინ მიეცემო. მაგრამ ნაქერალას მთაზე ყაჩაღები დახვდებიან... და კეჭო იძულებულია, ეს ვალი ყარამანს ყაჩაღების თვალწინ დაუბრუნოს.

არ ვიცი, ჩემი აღწერილი ამბის გავლენით თუ ისეც, ახლახანს შემხვდა ამის თავისებური ვარიანტი.

სიმონიკა და იონა ქალაქში იყვნენ საშოვარზე. იონა ქალაქში დარჩა და მონაგები ფული სიმონიკას გაატანა - ჩემ ცოლ-შვილს მიუტანეო. სიმონიკამ იონას ფული მარცხენა ჯიბეში ჩაიდვა, თავისი - მარჯვენაში. ნაქერალაზე დახვდნენ ყაჩაღები. ერთმა ყაჩაღმა მარცხენა ჯიბეში ჩაუყო ხელი, ამოუღო იონას ფული და მეტი აღარ უძებნია, გაუშვა. ერთი ვერსი რომ გაიარა, სიმონიკა შეწუხდა: იმ ოხერტიალმა რაღა მაინცდამაინც იონას ფული წამართვა, მის ოჯახს რა პირით მივუვიდეო. დაჰკრა ფეხი, გამობრუნდა და მონახა ყაჩაღები: თქვენ რომ ფული წამართვით, ის ჩემი მეზობლის იყო, თქვენი ჭირიმე, დამიბრუნეთ და, სამაგიეროდ, აგერ, მეორე ჯიბეში ჩემი ფულუკა მიდევს და ის წაიღეთო. ყაჩაღის სინდისი ვინ თქვა, ის ფულიც წაართვეს.

ვაი, პატიოსნების ბრალი, ის ყველგან და ყოველთვის ისჯება.

* * *

**რაჭველებო,** ოსებს ვერ მოუარეთო? ქვე რავა არ მოვუარეთ, შენი ჭირიმე, ახლა რაჭაში ქუთაისის მოვლით დავდივართო.

* * *

## რა შედარებაა, სად ლენინი და სად სტალინი, სად ერეკლე და სად... შერეკილი „ია დელალა ბალშოე რევოლუციონნოე დელო"

მწერალთა კავშირის ბაღში, გრძელ მერხზე ერთად ვისხედით ახალგაზრდა და ძველგაზრდა კალმოსნები. ალექსანდე ქუთათელმა დაიჩივლა: აჯილდოებენ არა კარგ ნაწარმოებებს, არამედ - სკამებსო. მაშინ მე გავიხსენე:

1944 წლის ზაფხულში, შტატით ბატარეის ქიმინსტრუქტორი, „კატუშას" გუნდს ვმეთაურობდი. იასის მისადგომებთან დაბომბვისას საბრძოლო მანქანა დამიზიანდა და მის შესაკეთებლად რუმინეთიდან მოლდავეთში დაბრუნება მომიხდა. დავბინავდით დაბა ფლარეშტში. სად იყო და სად არა, შემოგვეხიზნა უცნობი კაპიტანი, რომელსაც მკერდი ორდენ-მედლებით ჰქონდა დაფარული. ერთ საღამოს ამ ჩინოსანმა აცთუნა ჩვენი გუნდის მომიზნე მიხეილ იოლკინი და მგლური განზრახვით ცხვრის მოსანადირებლად წაიყოლა. მართალია, ვერ ემგლათ, სამაგიეროდ მელიას უნარი ფხიანობით გამოეჩინათ და ქათმები მოაკრიახეს. დამაეჭვა ქათმიპარიას ჯილდოებმა და ვკითხე: ამდენი ორდენ-მედალი რომელ ბრძოლებში დაიმსახურე-მეთქი? არ დამიმალა: ფრონტს ერთი საათითაც კი სათოფეზე არსად გავკარებივარ, დენთის სუნისა არაფერი ვიცი, მთელი ომი „შტაბნიკი" ვარ, ჰოდა, ჯილდოზე სხვების წარსადგენ საბუთებს რომ ვაფორმებდი, ვიცოდი, ზევით ვერავინ ვერაფერს გამიგებდა და ჩემთვის ხომ ყოველთვის ვიწერდი, უჩინმეძლებოდ არც „ადნაკაშნიკებს" ვტოვებდიო.

ბოლოს დავძინე: ჩანს ამგვარი ამბები ყველგან ხდება - ომშიცა და ცხოვრებაშიც-მეთქი.

როგორც სჩვეოდა, დავით გაჩეჩილაძემ ირიბად გამომხედა, თვალები მოწკურა და ჩაიხითხითა მსუყედ: ცამდე მართალი ხარ, მაგის დასტურად მე უკეთეს ამბავს გიამბობთო და დინჯად დაიწყო:

- შარშანწინ წყალტუბოს სანატორიუმის საგზური მოვინადავლე. იქ ბობოლების კორპუსიდან სასეირნოდ თითქმის ყოველ საღამოს გამოდიოდა ერთი მაღალ-მაღალი, ასე სამოც წლამდე ქალი, რომელსაც აქა-იქ ნაოჭები კი უჩანდა, მაგრამ ეტყობოდა, თავის დროს საკმაოდ თვალტანადი და მიმზიდველი რომ იყო.

- დავითმა მე გამომხედა. - შენი ქათმიპარია კაპიტნის არ იყოს, იმ ქალსაც საკმაოდ მაღალი მკერდი ორდენ-მედლებით ჰქონდა ჩარიგლინებული. დაინტერესებულმა ვკითხე: ამდენი ჯილდო რითი დაიმსახურე-მეთქი? ჩაიცინა: ეტა ვაენნაია ტაინაო. ამან ცნობისმოყვარეობა უფრო გამიხელა და ყოველ შეხვედრაზე ისევ ვეკითხებოდი: რა ისეთი სამხედრო საიდუმლოების ადამიანი ბრძანდებით, რომ ნაწილობრივ მაინც არ შეიძლება მისი გამხელა-მეთქი. მეშვიდე თუ მეცხრე შეხვედრისას ისევ ჩაიცინა: ია დელალა ბალშოე რევოლუციონნოე დელოო. არ მოვეშვი და, ბოლოს და ბოლოს, დავცანცლე, თუ რა იყო მისი ესოდენ დიდი რევოლუციური საქმე.

- მე, სანამ ქალად ვვარგოდი, პოლიტბიუროს და მთავრობის სხვა დიდკაცობის მამაკაცებს ვემსახურებოდი. როცა მათი ცოლები აგარაკებზე დასეირნობდნენ, სახელმწიფო მოღვაწეებს კახპების საძებრად რომ არ ეწანწალათ აქეთ-იქით და საქვეყნო საქმეთა მოსაგვარებლად გამიზნული დრო ამისათვის არ ეფლანგათ, იმ შუალედებში სალოგინო ამბების მოსაგვარებლად ცოლების მაგიერობას მე ვუწევდი. განა ეს რევოლუციის დიდი საქმის დასაგვირგვინებლად გაწეული მოღვაწეობა არ იყო? ჰოდა, ამისათვის ხშირად ვჯილდოვდებოდი კიდეც ხან ორდენით, ხან მედლით.

- ლენინსა და სტალინსაც ემსახურებოდი? - შევბედე კითხვა. სიამაყით მომიგო:

- მაშ, როგორ! პირველ რიგში, პირველ რიგში!

- თუ საიდუმლო არ არის, ლოგინში რომელი უფრო ვაჟკაცობდა? - გავუთამამდი და ესეც ვკითხე.

- ახლა დასამალი რაა. ლენინი, ისე რა, ტირიფის წნელივით სუსტი იყო, ბოლოს მთლად მჩვრად იქცა. სტალინი ამ საქმეშიც სტალინი იყო, ნამდვილი ფოლადი, სიმაგრე ბოლომდე შეინარჩუნა. იმ დალოცვილს მუხის კეტივით მომაბჯენდა და ცოტა არ იყოს, მაშინებდა კიდევაც, სიამოვნებით გაბრუებულს მუცელი მთლად არ მიმინგრ-მომინგრიოს, სხვებისათვის უვარგისი გამხადოს, რევოლუციის დიდთა საქმეთა სამსახური დამეკარგოს და პატივში განცხრომის მაგივრად ტყვიით დავიხერიტო-მეთქი... ეჰ, იმ ნეტარი დღეების სასიამოვნო მოგონებები და ეს ჯილდოებილა შემრჩა. - სევდიანად ჩაილაპარაკა ქალმა, რომელმაც რევოლუციის დიდთა საქმეთა ქმნა ნებაყოფლობით თავის თავზე ხანგრძლივი, დიდი, ყელამდე ამოსული სიამოვნებით მრავლად იდო.

ლვაწლმოსილი მანდილოსნის სახელი დავითს არ უთქვამს, თუმცა, კიდეც რომ ეთქვა, რა შეცვლება? რევოლუციას ამგვარად განა მარტო ის ერთი ქალი ემსახურებოდა? ასე მოღვაწე ქალები ხომ არც ერთ რევოლუციას არ ელევიან - არც დიდს, არც პატარას. უქალოდ განა რევოლუცია სადმე გამარჯვებით დაგვირგვინებულა? იქნებ ყველა რევოლუციას საძირკვლადაც კი ქალი უდევს? ეს უკვე დისერტაციის თემაა, ამიტომ, ჯობია, ამაზე მსჯელობა აქ შევწყვიტოთ.

* * *

**რაჭველს** დიდ ორმოში აბაზი ჩაუვარდა. ერთობ ძნელი ჩასასვლელი იყო. ხელი ჩაიქნია, რაკი ჯიბეში ასი მანეთი ედო. დიდი გზა რომ გამოიარა, გაახსენდა აბაზი, დაენანა, გაბრუნდა უკან და ჩახედა ორმოს. თავი გადააქნია: აჰ, აქ რომ ჩავიდე, ეს ახალი ჩოხა სულ გამესვრება და გამიფუჭდებაო. გასწია ისევ შინისკენ. შუაგზაზე მოაგონდა, რომ შეიძლებოდა ჩოხის გახდა. ასეც მოიქცა - ჩოხა ხეზე ჩამოკიდა, კვლავ მივიდა ორმოსთან და ისევ დაიხია უკან: აბაზის გულისთვის წვალება არ ღირსო. დაბრუნდა ჩოხასთან, ამოიღო ასი მანეთი, ჩაუძახა ორმოში, ჩავიდა შიგ და აბაზი ას მანეთთან ერთად ამოიტანა.



● ერთიგ სასარგებლო რჩევები ქალებს

# თქვენ ისედაც ლამაზი იქნებით...

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მამაკაცთა ყურადღების ღირსნი უფრო ხშირად ხდებიან მომხიბვლელი ქალები, ვიდრე ლამაზები. რატომ ხდება ეს? მამაკაცთა ბუნებაა, ეძიოს ქალში რაღაც გამოუცნობი, მიუწვდომელი. და ის „რაღაც“ მომხიბვლელობაა. შეიძლება ქალის სახეს სტანდარტულად ლამაზი ცხვირი არ ამშვენებდეს, მაგრამ იგი იყოს მომხიბვლელი. რატომ? არსებობს კანონი, რომელთაც ყველა ქალი, სამწუხაროდ, არ აქცევს ყურადღებას. ეს გახლავთ: ინდივიდუალობა, განუმეორებლობა, საკუთარი სტილი ჩაცმის, მაკიაჟის, ჟესტის, ღიმილის, სიარულის, საუბრის, გამოხედვის - ყოველივე ამის ერთობლიობა არის ის რაღაც, რასაც მომხიბვლელობა ჰქვია. ნუ შეწუხდებით იმის გამო, რომ თქვენს გარდერობში არ არის ძვირფასი კაბა, შესანიშნავი იტალიური ფეხსაცმელი. სულაც არაა აუცილებელი ძვირადღირებული პარფიუმერია და ფრანგული სუნამო, თქვენ ისედაც ლამაზი იქნებით, თუ დაფიქრდებით.

პირველი. არასოდეს შეარჩიოთ ტანისამოსი უკანასკნელი მოდის და ღირებულების მიხედვით. აუცილებლად გაითვალისწინეთ ტანისამოსის ფერი. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია. ქერა, ცისფერთვალება ქალებს შეუძლიათ ატარონ ღია მწვანე, ვარდისფერი, ცისფერი ტანისამოსი. მუქთმიანი, შავთვალება ქალბატონებისთვის სასურველია მუქი ყავისფერი, მუქი მწვანე, მუქი ლურჯი, მუქი წითელი და რა თქმა უნდა, შავი ფერი. მუქი ტონი კანის შედარებით მუქ ფერს უფრო თეთრს და მომხიბვლელს ხდის.

გარდერობის შერჩევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია თქვენი სხეულის მოყვანილობა. მაღალყელიანი, გამხდარი ქალებისათვის მშვენიერი გამოგონებაა დეკოლტე. ღრმად ამოჭრილი კაბა ყელის სიმაღლეს ხაზს უსვამს. ქალებს, რომელთაც დაბალი ყელი აქვთ და თანაც ცოტა ზედმეტი წონა, არაა სასურველი ღრმად ამოჭრილი კაბის ტარება, დახურულ ყელზე მომდგარი კაბა თქვენს ნაკლს დაფარავს. თქვენ გამხდარი ხართ, მაღალიც, მაგრამ რატომღაც ტანზე მომდგარი კაბა არ გიხდებათ, რატომ? იმიტომ რომ თქვენი წელის ფორმაა დარღვეული და სხეულს სიბრტყისკენ აქვს მიდრეკილება. თუ ეს ასეა, ნუ ჩაიცვამთ ტანზე მომდგარ კაბას, თქვენთვის შესანიშნავი გამოსავალია, ატაროთ ქვედაბოლო და ოდნავ განიერი ზედატანი, ან უბრალოდ მოერიდოთ მთლიანი, ტანზე მომდგარი კაბის ტარებას. შეეცადეთ კაბა ორი ნაწილისაგან შედგებოდეს.



* * *

დიდი ხანია დაემორჩილნენ მამაკაცები ბედს და აღარ გამოთქვამენ პროტესტს იმის გამო, რომ ქალებმა მათი გარდერობიდან ჯერ პიჯაკი, შემდეგ შარვალი, ჰალსტუხი და ბოლოს ცილინდრიც კი წარსტაცეს. მართლაც დიდი გამარჯვებაა, მაგრამ რომელ ქალს სურს იყოს მამაკაცი (გადახრები, რა თქმა უნდა არის)? მაშინ იმას დავუფიქრდეთ, რატომ ვიცვამთ შარვალს. დარწმუნებული ვარ, მიპასუხებთ: „მოსახერხებელია“. ვბედავ შეგეკამათოთ. თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით, მაგრამ განა იმისათვის, რომ მოხერხებულად ვიგრძნოთ თავი, უნდა დაიკარგოს ჩვენი ქალურობა?! არა, მე შარვლის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, მაგრამ, როგორც ყველა ტანისამოსი, ისიც ყველას არ უხდება. და, კითხვაზე, რატომ ვიცვამთ შარვალს, მე ერთი პასუხი მაქვს: მხოლოდ იმიტომ, რომ გამოვიყურებოდეთ სექსუალურად, ვიმეორებ, სექსუალურად და არა ვულგარულად. კაბა ქალის სხეულის გარკვეულ მონაკვეთს ფარავს და მოყვანილობა შედარებით ნაკლებად ჩანს. შარვალი კი ყოველ დეტალს შესანიშნავად უსვამს ხაზს. ქალის სხეული გამოკვეთილ შარვალში უდაოდ ლამაზია და მიმზიდველი იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ქალურია. საკმარისია, ოდნავი სიმეტრიის დარღვევა და უკვე შარვალი კარგავს ქალის ტანზე მომხიბვლელობას და იგი აღიქმება როგორც უგემოვნობა. შემობრუნდით სარკის წინ და ჰკითხეთ თქვენს თავს, გიხდებათ შარვალი? თუ იგი არ გიხდებათ, აღიარეთ ეს და სხვა უფრო შესაფერისი ტანისამოსი შეარჩიეთ.

* * *

რაც არ უნდა გეჩქარებოდეთ, არასოდეს არ ჩაიქნიოთ ხელი და თმაგაწეწილი არ გავარდეთ სახლიდან. თმა ხომ ყველაზე შესანიშნავი საშუალებაა მამაკაცთა საცთუნებლად. თუ თქვენ უკვე აცთუნეთ ვინმე და არ გსურთ სხვისი „ცთუნება“, ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენმა აწეწილმა და გაუხეშებულმა თმამ თქვენგან ოდესღაც „ნაცთუნები“ მამაკაცი შეიძლება იმ ჭკუაზე დააყენოს, რომ აჰყვეს ახალ „ცთუნებას“. თმა რომ შესანიშნავი, აბრეშუმივით და მორჩილი იყოს, სულაც არაა აუცილებელი, ძვირფასი შამპუნები და ბალზამი (დღეს მათი ყიდვის საშუალება ერთეულებს აქვთ). იყიდეთ საბავშვო შამპური. თუ ისიც არ გაქვთ, მაშინ საპნით დაბანის შემდეგ, ერთ ჩაის ჭიქა წყალში გახსნილი ძმარი გადაივლეთ, შემდეგ წყლით ჩამოიბანეთ და შეეცადეთ, არ გაიშროთ თმა „ფენით“, რადგან იგი აშრობს თმებს და იგი უხეში ხდება. დაბანის შემდეგ, სველი თმა კარგად დაივარცხნეთ ჯაგრისი სავარცხლით, ბუნებრივად გაიშრეთ და 5–10 წუთის მანძილზე იგივე ჯაგრისი სავარცხლით ივარცხნეთ, ეს თავისებური მასაჟია. აუცილებელია თმის ბოლოების მოკვეცა თვეში ერთხელ მაინც. თუ თქვენ თმას იღებავთ, მაშინ უფრო დიდი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ თმის ბუნებრიობა შეინარჩუნოთ. ეცადეთ, არ გამოიყენოთ ქიმიური საშუალებები თმის შესაღებად, რადგან დიდი ხნის ღებვის შემდეგ შეიძლება ერთ დღეს მელოტი აღმოჩნდეთ. შეღებვის შემდეგ აუცილებელია თმისთვის ბალზამის ხმარება, იგი ბუნებრიობას უბრუნებს თმას. არასოდეს ჩაატაროთ ექსპერიმენტი: მეგობარმა ქიმიური წესით დაიხვია თმები, „მოდი, მეც დავიხვევ“. არა და არა, თუ მას ეს უხდება, მოგიხდებათ თუ არა თქვენ? კარგად დაფიქრდით.

თქვენ გადაწყვიტეთ თმის შეჭრა, შესანიშნავი იდეაა! დაფიქრდით, როგორ შეიჭრით. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია თქვენი სახის მოყვანილობა. მრგვალი სახის ქალებს არამც და არამც არ მოუხდებათ ე.წ. „კარე“, რადგან იგი სახეს სიგანეს მატებს. მათ უმჯობესია მამაკაცურად შეჭრილი თმა ატარონ. საერთოდ მამაკაცთა უმრავლესობა შეკითხვაზე „გრძელი თმა ჯობია თუ მოკლე“, პასუხობს: „გრძელი“ რატომ?იმიტომ, რომ მაღლა აკრეფილი თმიდან თქვენს ყელზე დაუდევრად ჩამოშლილი პატარა თმის ბულული უფრო სექსუალური და მიმზიდველია, ვიდრე მამაკაცურად შეკრეჭილი თმა. მამაკაცები თვად არიან მამაკაცები და მათ ქალში მამაკაცის დანახვა სულაც არ სურთ.

ლიზა ერისთავი
მოდელიორი

# ივანე ჯავახიშვილის ნაკლებად ცნობილი წერილები

მეოთხე გვერდიდან

გადანერგონ ქვეყანაში, სადაც საზოგადოებრივი ნიადაგი მოუმზადებელია (გაუნაყოფიერებელია) სამეცნიერო შემოქმედებისათვის, მაშინ, როცა ბატონობს სასიცოცხლო ზოოლოგიური ნაციონალური გრძნობები“. აქედან ყოველი მკითხველი - დაინახავს, რომ ნ.მარმა ქართველ მეცნიერთა ჭკუა-გონება კი არ მოიხსენია ოდესღაც ცუდად, როგორც ამათ ამტკიცებს „ჩვენი“ თავის წერილში, არამედ შეურაცხყოფა მიაყენა მთელ ქვეყანას, მთელ აწინდელ საქართველოს და მის საზოგადოებრიობას. როგორც ხედავთ, აქ არც უნივერსიტეტზე და არც ქართველ მეცნიერებზე ლაპარაკი კი არა აქვს ნ.მარს, არამედ ის ამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს საზოგადოებრივი ნიადაგი გაუნაყოფიერებელია სამეცნიერო შემოქმედებისათვის. ვფიქრობთ, რომ ამით შეურაცხყოფილად უნდა ეგრძნო თავისი თავი ყოველ ქართველს, მასაც, ვისი ხელისუფლებითაც განხორციელდა სიძველეთა რუსეთიდან საქართველოში გადმოტანა. ნ.მარის ამ უმაგალითო საქციელისა და შეურაცხყოფის ფართო საზოგადოებრიობაში გატანა პრესის საშუალებით ჩვენ არ მოვისურვეთ, მაგრამ ცხადია, რომ ნ.მარის ასეთი საქციელის შემდგომ საქართველოს საზოგადოებრიობასა და მას შორის ყოველგვარი დამოკიდებულება, მით უმეტეს მეცნიერული შემოქმედების ნიადაგზე, შეწყვეტილად უნდა გვეგულისხმა და ასეც ვიგულისხმეთ კიდეც.

შემდეგ, მიმდინარე წლის დამდეგს, ჩვენს უნივერსიტეტს ცნობა მოუვიდა, რომ პენსილვანიის უნივერსიტეტის ერთ არქეოლოგს საქართველოს რომელიმე ნაქალაქევის არქეოლოგიური, მიზნით გათხრა სურდა თავისი ხარჯით და გვეკითხებოდა, თუ ეს როგორ მოეხერხებინა. ჩვენ ვიქონიეთ მსჯელობა და გადავწყვიტეთ, რომ რაკი მცხეთის მახლობლად უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურის აგების შემდეგ მცხეთაში ველარაფრის გათხრა ველარ მოხერხდებოდა, იქ კი - დიდი განძეულობა არის დამალული, ამიტომ სასურველია ვისარგებლოთ ამ წინადადებით და მცხეთის არქეოლოგიური გათხრა ახლავე მოეწყოს, სანამ აუზი ჯერ დამთავრებული და წყლით გავსებული არ არის. ჩვენის მხრით ასეთი პირობა იქნა შემუშავებული: გათხრილობის მთელი ხარჯები ამერიკელებისა უნდა ყოფილიყო, ჩვენი ზედამხედველობა და თანამშრომლობა. ნაპოვნთაგან - უნიკალური უნდა საქართველოში დარჩენილიყო. რამდენიმე ცალად აღმოჩენილის ნახევარი საქართველოში რჩებოდა, ნახევარი - შეეძლოთ ამერიკაში წაეღოთ. ჩვენმა უნივერსიტეტმა განათლების კომისარიატის საშუალებით მთავრობის წინაშე აღძრა ეს საკითხი. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ „მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ისტორიული მცხეთის გათხრას აუარებელი თანხა დასჭირდებოდა; რის გაღებაც არამც დღეს, არამედ მშვიდობიანობის დროსაც მოუხერხებელი იყო, აგრეთვე ისიც, რომ ზემოავჭალის ელექტროსადგურის გამო მთელი ისტორიული მცხეთა, ფასდაუდებელ ღირებულებათა შემცველი, წყლით დაიფარება (7 საჟენზე ამაღლდება წყალი), კომპარტიის ცეკას დასტურით დაადგინა, ნება მიეცეს უნივერსიტეტს მის მიერ წამოყენებული პირობების მიხედვით მოახდინოს მცხეთის გათხრა“. რასაკვირველია, ამერიკელ არქეოლოგის საქართველოში ჩამოსვლის ნებართვა საქართველოს მთავრობისა და საკავშირო საგარეო საქმეთა კომისარიატისაგან უნდა მიეღო.

საკმარისი იყო საქართველოს მთავრობის ეს დადგენილება გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ ამოეკითხა ნ.მარს, რომ 9 აპრილის ფიცხელი პროტესტი გამოადებინა, რომელშიც საქართველოს მთავრობის დადგენილებას ის „დაუჯერებელ ბარბაროსულ გადაწყვეტილებას“ უწოდებდა. ყოველი ადამიანი ადვილად დააფასებს ნ.მარის ამ სრული თავაშვებულობის მომასწავებელ ტლანქ შეურაცხმყოფელ საქციელს.

ნ.მარის ამგვარი მოქმედების და საქართველოსადმი მოპყრობისდა მიუხედავად, მან ჩვენს უნივერსიტეტს შეატყობინა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ლექციის წაკითხვა სურდა. უნივერსიტეტს, ვიდრე ზემოაღნიშნული შეურაცხყოფის შემდეგ, სანამ ის თავის სიტყვებს უკან არ წაიღებდა, შეუძლებლად მიაჩნდა და მაინც, რომ ნ.მართან ურთიერთობა ჰქონოდა და უპასუხა, რომ უნივერსიტეტს უკვირს, თუ მას, აკადემიკოს ნ.მარს სამეცნიერო შემოქმედებისათვის გაუნაყოფიერებელ ბარბაროსულ ქვეყანაში მოსვლა და მეცნიერებთან ურთიერთობა მოუსურვებია.

აკადემიკოს ნ.მარს სრული საშუალება ჰქონდა ადამიანური დამოკიდებულება დაემყარებინა და მოქცეულიყო ისე, როგორც იქცევა ყოველი პატიოსანი ადამიანი, უკან წაეღო თავისი შეურაცხყოფა და ბოდიში მოეხადა, მაგრამ მან ეს, როგორც ეტყობა, არ ინება.

ზემონათქვამიდან პირუთვნელი მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენ ნ.მარისათვის არავითარი შეურაცხყოფა არ მიგვიყენებია, არც მისი დევნა მოგვსვლია ფიქრად, პირიქით, იერიშის მომტანი მხოლოდ და მხოლოდ ნ.მარი ბრძანდებოდა.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჩვენი“ ნ.მარის წინანდელ მაგალითს მისდევს და საქართველოს მეცნიერებს უშვერი სიტყვებით ლანძღავს, ცდილობს ისინი მკითხველს სრულ არარაობად წარმოუდგინოს, მაგრამ რომ მას თავისი სიტყვების სიმართლე გულში თვითონაც არ უნდა სჯეროდეს, ამას მისივე შემდეგი საყვედურიც მოწმობს: ქართველთა პროფესორებმა ჩამოაშორეს ნ.მარი ქართველი პროფესორების ოჯახს. მაშასადამე, ნ.მარისა და თვით „ჩვენი“-სათვის ცხადი ყოფილა, რომ ქართველ მეცნიერებთან ურთიერთობა მას სიამოვნება-სიხარულს აგრძნობინებდა. მაშ როგორღა კადრულობს ნ.მარი და „ჩვენი“ მათ შეურაცხყოფას? იმედი მაქვს, რომ ჩვენი განმარტება გაჰფანტავს იმ გაუგებრობას, რაც ამ საქმის გარშემოა დაგროვილი.

ვფიქრობთ, რომ ვისაც სიმართლე და ადამიანური დამოკიდებულების დამყარება აინტერესებს, ის აკადემიკოს ნ.მარს ურჩევს „ჩვენის“-ს მსგავსი წერილებით მტრობით გალევების მაგიერ (ისეთი) ნაბიჯი გადასდგას, რომელსაც ყველა ზრდილობიანი ადამიანი ასეთ შემთხვევაში გადასდგამს ხოლმე. (წერილი ივ.ჯავახიშვილის ხელითაა ნაწერი, ოთხი გვერდი მელნითაა დაწერილი, დანარჩენი ფანქრით, - ვ.გ.).



**თარაზულად:** 5. მარადმწვანე მცენარე; 6. მინის მსგავსი გაუმჭვირი მასა; 7. ევრიპიდეს ტრაგედია; 8. ქრისტიანული დღესასწაული; 10. ქალაქი ინდოეთში; 12. კუთხის ან რკალის საზომი ერთეული; 13. ფორმის ტანსაცმელი; 17. გადამყიდველი, ქორვაჭარი; 18. ოლქი იტალიაში; 19. ქართველი უფლისწული - განმანათლებელი, მწერალი, მეცნიერი; 20. პერსონაჟი ა.ყაზბეგის მოთხრობისა „ელგუჯა“; 21. სკივრი, ანუ... 24. უნგრელი კომპოზიტორი; 25. მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები; 26. ორი ერთმანეთში გაუხსნელი სითხის ნარევი; 27. დიდი პოეტი ანუ... 30. ძველ საქართველოში ქორწილის, ჭიდაობის, ბერიკაობის აუცილებელი კომპონენტი; 31. მანქანა ტვირთის ასატან-ჩამოსატანად; 32. მომზადების დონე, კვალიფიკაცია; 33. მოქალაქეთა ქონების პერიოდული შეფასება ძველ რომში.

**შვეულად:** 1. ვინც კონცერტზე, წარმოდგენაზე აცხადებს ნომრებს; 2. „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟი; 3. ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ კუბელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთაგანი; 4. ბრალდებულის უდანაშაულობის ერთ-ერთი დასაბუთება; 9. მომხრე ან მონაწილე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთაგან შედგენილი მთავრობისა; 11. სპეციალისტი დისციპლინისა, რომელიც სწავლობს სისხლის სამართლის დანაშაულის კვლევის მეთოდიკას, ტაქტიკასა და ტექნიკას; 14. ინგლისის მეფე - სიკვდილით დასჯილი; 15. ვინ თვლის, რომ რუსეთის არმიაში უნდა დარჩნენ გენერლები, გენერალ-პოლკოვნიკებმა კი უნდა ითევზაონ, მარწყვი მოიყვანონ; 16. ფურცელი მასზე ჩამოწერილი კითხვებით; 22. შეურიგებელი მოწინააღმდეგე; 23. რისამე მნიშვნელობის განმარტება; 28. დოკუმენტის დანაყოფი; 29. „კაგებეს“ „ძმობილი“ ყოფილ გდრ-ში.

გიორგი ბასიტაშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 5. სპეტაკი; 7. ოკინავა; 10. შანსი; 11. საპალნე; 12. ახსნა; 14. ლიბრი; 16. კატლეტი; 17. იარდი; 19. მონარქია; 20. ნატრიუმი; 21. მანსარდა; 24. სკალფარო; 30. ოლიფა; 31. ფარაონი; 32. სიონი; 35. ილიკო; 36. სერვიზი; 37. ვარდო; 38. ანარქია; 39. ქაღალდი.

**შვეულად:** 1. სოსანი; 2. სტალაქტიდი; 3. პერიოდიკა; 4. კაასი; 6. კვარტალი; 8. კანისტრა; 9. ვასილი; 10. შველი; 13. აქცია; 15. ბაობაბი; 18. რომარიო; 22. სტაციონარი; 23. დომბეგი; 25. კონტუზია; 26. ფესტივალი; 27. ბორტი; 28. კარავი; 29. ჰიუგო; 33. გირაო; 34. არქივი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444